საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

თამუნა უზუნაძე

სახელმწიფო მართვის სისტემების სრულყოფილება დემოკრატიულ საზოგადოებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი
აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

შინაარსი

ანოტაცია ქართულად

ანოტაცია ინგლისურად

შესავალი ---------- 1

თავი I სახელმწიფო მართვის ძირითადი ფორმები ---------- 4

1.1. მონარქია ---------- 5

1.2. რესპუბლიკა ---------- 14

1.3. საპარლამენტო რესპუბლიკა ---------- 22

1.4. საპრეზიდენტო რესპუბლიკა ---------- 25

1.5.შერეული – ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა ---------- 28

თავი II ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები ---------- 31

2.1.უნიტარული მოწყობის სახელმწიფო ---------- 32

2.2. ფედერალური მოწყობის სახელმწიფო ---------- 35

თავი III პოლიტიკური რეჟიმები ---------- 39

3.1.ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი ---------- 41

3.2. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი ---------- 47

თავი IV საქართველოს მმართველობის ფორმის, ტერიტორიული მოწყობისა და პოლიტიკური რეჟიმის მოკლე მიმოხილვა ---------- 53

4.1.მმართველობითი სისტემების მოდერნიზება საკანონმდებლო დონეზე 56

თავი V მართვის სისტემების სრულყოფილების მაგალითები ---------- 62

დასკვნა ---------- 67

ბიბლიოგრაფია ---------- 68

ანოტაცია

სახელმწიფო თავისი შინაარსით რთულ და მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ სისტემას წარმოადგენს. მანამ, სანამ თანამედროვე სახელმწიფო მართვის სისტემა ჩამოყალიბდებოდა ისტორიულად ჯერ მონარქიული მართვის სისტემები ყალიბდება, რომელმაც რამოდენიმე ათეული საუკუნის მანძილზე იარსება.

სახელმწიფოს მართვის სისტემის გამართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების კეთილდღეობა, რომელიც თავის თავში გულისხმობს მშვიდობას, უსაფრთხოებას, სოციალურ დაცვას და საზოგადოების ყველა იმ სეგმენტის სრულყოფას, რომელიც სახელმწიფოს პრეროგატივაში შედის.

აქედან გამოდინარე სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია მართვის სისტემის სრულყოფილება, რაც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საწინდარია.

სახელმწიფოში სადაც მართვის სისტემური ხარვეზები არსებობს ადგილი აქვს მართვის გაუკუღმართებულ სისტემებს, რომლებიც ხასიათდება კორუმპირებული ხელისუფლებით, დეცენტრალიზებული მართვით. ყველაფერი ეს კი აზიანებს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, კანონიერების პრინციპს, სამართლიანობასა და საზოგადოების სწორად განვითარებას.

აქედან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია თვითეული პრობლემური საკითხი, წარმოდგენილია მმართველობის სწრორი ფორმები და შედარებითი ანალიზისათვის მიმოხილულია არასწორი ფორმებიც, რომელთა ერთად განხილვამ შესაძლებელი გახადა მაქსიმალურად სრულყოფილი დასკვნების გაკეთება, კერძოდ თუ როგორ უნდა მოხდეს მმართველობითი სისტემების სრულყოფილება დემოკრატიულ საზოგადოებაში

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 საკვაძო თავის, შესაბამისად 9 ქვეთავისა და დასკვნისაგან. აღნიშნულმა სტრუქტურამ მოგვცა შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომში, მაქსიმალურად აგვეღწერა თეორიული საკითხები და პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე გაგვეკეთებინა კონკრეტული დასკვნები.

სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება კვლევის მეთოდების გამოყენებით დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

თამუნა უზუნაძე

Annotation

According to its concept, state is complex and tightly inter-depended system. Historically, Before the formation of modern government system, monarchist systems were established, that existed for decades of centuries.

The well-being of society, that involves safety, social defense and perfection of the segments under state prerogative, is depended on organized functioning of state governing system. Accordingly, one of the main components, determining the strength of the state is perfection of government system, that is precursor of the development of democratic society.

In a state, with systemic fault of government, depraved systems take place, that are characterized by corrupted and decentralized government, therefore it harms territorial entity of a state, principles of legitimacy, justice and proper development of society.

Accordingly, the master's thesis discusses each problematic issue, presents right forms of government and for comparative analysis incorrect forms are also studied. Simultaneous research of these forms has made it possible to come to the maximally accurate conclusion, specifically to the ways of perfection of government systems in democratic society.

The master's thesis consists of 5 basic chapters, 9 sub-chapters and conclusion. This structure has made it possible to discuss theoretical issues and make appropriate conclusions on basis of practical examples.

The thesis is based on elaboration of conclusions and recommendations through research methods.

Tamuna Uzunadze

შესავალი

სახელმწიფო, როგორც სისტემური ერთიანობის ყველაზე მეტად ურთიერთდამოკიდებული მოცემულობა, მრავალი ათეული წლის განმავლობაში ფორმირდება. აღნიშნული ფორმირების პროცესი მეტად რთულ და არაერთგვარ გარემოში მიმდინარეობდა. საზოგადოებამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე ჯერ ადრეკლასობრივი, ხოლო შემდეგ კლასობრივი სახელმწიფოს ფორმები განავითარა. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ადრეკლასობრივ სახელმწიფოს დიაოხისა (ძვ. წ. XII-VIII) და კოლხას (ძვ. წ .X I- IX) სამეფო წარმოადგენდა. ხოლო, სახელმწიფო, როგორც ერთიანი სისტემა უფრო მოგვიანებით იწყებს სრულფასოვან ფუნქციონირებას.

თანამედროვე სახელმწიფოები რთულ სისტემას წარმოადგენს, რომელსაც წინ სხვადასხვა მმართველობითი სისტემები უსწრებდა. მანამ, სანამ თანამედროვე სახელმწიფო მართვის დემოკრატიული სისტემა ჩამოყალიბდებოდა ადგილი ჰქონდა მონარქიული მართვის სისტემებს, რომლებიც რამოდენიმე ათეული საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

სახელმწიფო საჯაროდ აღიარებული ინსტიტუტია, რომლის მთავარ მიზანს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის სამსახური წარმოადგენს. ეს კი კაცობრიობის კეთილდღეობის მისაღწევად აუცილებელი საშუალებაა.

სახელმწიფო ეს არის საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.[22]

ამდენად სახელმწიფოს მართვის სისტემის გამართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების კეთილდღეობა. კეთილდღეობა ფართო გაგების ცნებაა

რაც თავის თავში გულისხმობს მშვიდობას, უსაფრთხოებას, სოციალურ დაცვას და საზოგადოების ყველა იმ სეგმენტის სრულყოფას, რომელიც სახელმწიფოს პრეროგატივაში შედის.

სახელმწიფო წარმოადგენს პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის ყველაზე ძლევამოსილ, ყველაზე უფრო სრულყოფილ იარაღს, ამიტომ პოლიტიკის სუბიექტებს შორის მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სადავეების დაუფლებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლებასთან მიახლოებისათვის.

სახელმწიფოს მიერ საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების საკითხის განხილვის დროს აუცილებლად უნდა შევეხოთ მის ისეთ თვისებას, როგორიცაა სუვერენიტეტი.[1] სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს შესაძლებლობა, სრულუფლებიანად აწარმოოს საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას თავის საქმიანობაში სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვა ძალების ჩარევა. ე.ი. სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს უზენაესობას ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ენციკლოპედიური განმარტებით სუვერენიტეტი არის ფრანგული წარმოშობის სიტყვა – **souveranitat** და ნიშნავს ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა.[10]

სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში ანსხვავებენ **სახელმწიფო, ეროვნულ და სახალხო სუვერენიტეტს.** სახელმწიფო სუვერენიტეტი როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეროვნულ სუვერენიტეტს უწოდებენ პოლიტიკურ თავისუფლებას ერის სრულუფლებიანობასა, მის და რეალურ შესაძლებლობებს, განსაზღვროს თავისი ცხოვრების ხასიათი პოლიტიკური თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით. სახალხო სუვერენიტეტი არის ხალხის სრულუფლებიანობა, ანუ მისი უფლებამოსილება რეალურად მონაწილეობდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

[1] **სუვერენიტეტი (ფრანგ. souveraineté)** - ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა. ქვეყნის სუვერენიტეტი მის სრულ დამოუკიდებლობას ნიშნავს.

ჩემი სამაგისტრო **ნაშრომის მიზანს** წარმოადგენს პირველ რიგში სახელწიფო მართვის ყველა სისტემის განხილვა და გაანალიზება, ხოლო შემდგომ მათი სრულყოფის ყველა აქამდე ნაცადი ხერხების მიმოხილვა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება დასკვნების გაკეთება.

ნაშრომის აქტუალობა გამოიხატება იმ გარემოებაში, რომ სახელმწიფო დინამიურად განვითარებადი მოვლენაა და მისი მართვის სისტემები მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიან. ამდენად ჩვენთვის საინტერესოა რა ეტაპზეა დღეს მსოფლიოს ძლიერი და სუსტი სახელმწიფოები ამ თვალსაზრისით და სად არის საქართველო, ანუ განვითარების რომელ ეტაპზეა, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა.

სახელმწიფო მართვის სისტემების განხილვისას საკმაოდ მრავალფეროვან სახეებს ვაწყდებით - მონარქია, რესპუბლიკა და მისი შერეული თუ დამახინჯებული ფორმები. რაც გამომდინარეობს მისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიიდან. ეს კი იმას ნიშნავს რომ ჩვენ ახალ ფენომენთან არა გვაქს შეხება, ამდენად შედარებითი ანალიზისათვის საკმაოდ მოცულობითი მასალა გვაქვს, რაც თავისთავად საინტერესოს ხდის დასკვნების გამოტანას.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს უკვე არსებული მართვის სისტემების შეფასების საფუძველზე თანამდროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის საჭირო მართვის სრულყოფილი სისტემის მოდელირება. აღნიშნული მოდელირება მისაღები იქნება ზოგადად ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის.

თავი I სახელმწიფო მართვის ძირითადი ფორმები

სახელმწიფოს მართვა თავის თავში გულისხმობს იმ მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელს ხდის სახელმწიფოს რთულმა სისტემებმა მაქსიმალურად ურთიერთშეთანხმებულად იფუნქციონირონ. მმართველობის ფორმები დიფერენცირდება სახელმწიფოს ფორმების მიხედვით.

შინაარსობრივად მმართველობის ფორმა, ესაა სახელმწიფოს იმ შინაგანი ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც აჩვენებს:

- ✓ როგორაა სახელმწიფოში ხელისუფლება მოწყობილი;
- ✓ ვის ეკუთვნის ხელისუფლება;

ასევე რა მეთოდების გამოყენებით ხორციელდება კონკრეტულ სახელმწიფოში კონკრეტული ხელისუფლება.

სახელმწიფო ფორმის მრავალაგვარი განმარტება არსებობს, რომელიც შეიძლება ზოგადად სამი ურთიერთდაკავშირებული მოვლენის სინთეზით ჩამოვაყალიბოთ: [8]

1. სახელმწიფო **მმართველობის ფორმა;**
2. ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმა;
3. სახელმწიფოს **პოლიტიკური რეჟიმი;**

ცნება „სახელმწიფოს ფორმა“ როგორც მრავალემენტიანი კომპლექსური ინსტიტუტი ძალზე იშვიათად გვხვდება კონსტიტუციებში, გამონაკლისის სახით შეიძლება დასახელდეს თურქეთის კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელსაც „სახელმწიფოს ფორმა“ ეწოდება. თუმცა წარმოუდგენელია თანამედროვე პირობებში მოქმედი კონსტიტუცია, სადაც სიტყვების „სახელმწიფოს ფორმას“-ს გარეშე ამ ინსტიტუტის სამივე ელემენტი ერთად ან ცალკ-ცალკე არ იყოს დეკლარირებული ანუ აღიარებული. მაგალითად, არგენტინის კონსტიტუციის 1 მუხლის თანახმად - „არგენტინელი ერი ამტკიცებს მმართველობის

ფედერალურ რესპუბლიკურ ფორმას“ მაროკოს კონსტიტუციის 1 მუხლის თანახმად „მაროკო არის დემოკრატიული, სოციალური კონსტიტუციური მონარქია“, რუმინეთის კონსტიტუციის აგრეთვე 1 მუხლის თანახმად, „რუმინეთის სახელმწიფო მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა“. [11]

რაც შეეხება საქართველოს ახალ კონსტიტუციას აქაც არ გვაქვს მმართველობის ფორმის პირდაპირი მოცემულობა და ის ინტერპრეტირებულია პირველი თავის მუხლებში. კერძოდ:

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო“ - მუხლი 1 სახელმწიფო სუვერენიტეტი

„საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა” - მუხლი 3. დემოკრატია

„საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო” - მუხლი 4.

„საქართველო სოციალური სახელმწიფოა” - მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო

ამრიგად ხუთ მუხლში გაშლილია მმართველობის ფორმების განმარტებანი, რომლებიც ქვეპუნქტებსაც მოიცავს და საერთო ჯამში საქართველოს არის დამოუკიდებელი, ერთიანი, სუვერენული სახელმწიფო. კონკრეტულად მმართველობის ფორმა არის რესპუბლიკა, რადგან მე-3 მუხლი ცხადყოფს რომ საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა, ასევე საქართველო არის სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო.

1.1. **მონარქია**

სახელმწიფო მმართველობის ფორმის მიხედვით ძირითადად განასხვავებენ **მონარქიას და რესპუბლიკას.**

მონარქია[2] საზოგადოების განვითარების ისტორიაში უძველესი სახელმწიფო მმართველობის ფორმაა. მონარქია ბერძნული სიტყვაა - μόνος „მონოს" ნიშნავს - ერთი, ერთადერთი, ხოლო „არქონ" ἀρχων - მმართველი, ლიდერი. მონარქიულ

[2] **მონარქია** (ბერძ. μόνος „მონოს“ — ერთი, ერთადერთი; ἀρχων „არქონ“ — მმართველი, ლიდერი).

სახელმწიფოში მართვის მთავარი და ძირითადი ფუნქცია აკისრია მონარქს, რომელიც ხშირად ერთპიროვნულად, ან პოლიტიკური ელიტასთან შეთანხმებით წყვეტს სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს. მონარქის ძალაუფლება შეუზღუდავი იყო, გამომდინარე იქიდან, რომ ძალაუფლების სამივე შტო, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, მის გამგებლობაში იმყოფებოდა.

თანამედროვე მსოფლიოში ორმოცზე მეტი მონარქიული სახელმწიფოა. სხვადასხვა ქვეყანაში მონარქს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ: შაჰი, ემირი, იმპერატორი, სულთანი, მეფე, ხელმწიფე, ფარაონი *და სხვა.* მაგალითად: მეფედ - დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, დანიაში, ბელგიაში და სხვა. სულთანად - მალაიზიაში, ბრუნეიში, ომანში და სხვა. ემირად - ქუვეითში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში და სხვა. დიდ ჰერცოგად - ლუქსემბურგში, თავადად (მთავარი) - ლიხტენშტეინში, იმპერატორს - იაპონიაში.

მონარქიული მმართველობა ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

- მონარქი სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ერთპიროვნული მატარებელია სიკვდილამდე.

- მონარქი თავის თანამდებობას პერსონალურად, ერთპიროვნულად იჭერს, რაც იმას გულისხმობს, რომ მას არ ჰყავს ვიცე-მონარქი, თუმცა დიდი ბრიტანეთის მეფის მიერ დანიშნულ გუბერნატორებს ზოგჯერ ვიცე-მეფეებსაც უწოდებენ.

- მონარქს უფლება აქვს გადადგეს სამეფო ტახტიდან;

- სახელმწიფო ხელისუფლება მემკვიდრეობით - სისხლის პრინციპით გადადის მონარქის შვილზე, უმეტესწილად ვაჟზე, ზოგჯერ ქალიშვილზეც. თუ შვილი მცირეწლოვანია, მის სრულწლოვანობამდე, ან ტახტის ვაკანტურობის, მონარქის ხანგრძლივი ავადმყოფობის თუ დროებითი არყოფნის შემთხვევაში, სახელმწიფოს მართავს რეგენტი ან რეგენტთა საბჭო. მაგალითად, საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ 1179 წელს მეფე გიორგიმ 19 წლის თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა და 1184 წლამდე ერთად მართავდნენ ქვეყანას.

მონარქიაში განასხვავებენ ტახტის მემკვიდრეობის სამ ძირითად სისტემას:

ა. სალიკური სისტემა, რომლის მიხედვითაც ტახტი გადადის მხოლოდ მამაკაცებზე და ქალები ტახტის მემკვიდრეობიდან მთლიანად გამოირიცხებიან. აღნიშნული სისტემა მუშაობდა X საუკუნემდე;

ბ. კასტილიური სისტემა, რომლის მიხედვითაც ქალები არ გამოირიცხებიან ტახტის მემკვიდრეობიდან, მაგრამ უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ. მაგალითად, უმცროსი ძმა სარგებლობს უპირატესობით უფროს დასთან მიმართებაში;

გ.ავსტრიული სისტემა, რომლის მიხედვითაც, მართალია, ქალები არ გამოირიცხებიან ტახტის მემკვიდრეობიდან, მაგრამ საერთოდ მამაკაცებს და მამაკაცთა შტოს ენიჭება უპირატესობა სანათესაო შტოში. ამ სისტემის ქვეყნებში ქალებს მხოლოდ მაშინ გადაეცემათ ტახტი, როცა მათ მოდგმაში აღარ დარჩება არცერთი მამაკაცი.

მონარქი სახელმწიფოს მართავს თავის სამართლის მიხედვით. მისი უფლებამოსილება არაა დელეგირებული[3] არც ხალხის და არც რომელიმე ორგანოს მიერ. მონარქი თავისუფალია როგორც პოლიტიკური, ასევე იურიდიული პასუხისმგებლობისაგან.

თავის მხრივ, მონარქიულ მმართველობაში გამოყოფენ შეუზღუდავ - აბსოლუტური და შეზღუდულ - კონსტიტუციური, დუალისტური, არჩევით მონარქიას.

აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი მონარქიისათვის (ლათ. absolutus — თავისთავადი, უთუო) დამახასიათებელია ხელისუფლების სრულად თავმოყრა ერთი პირის - მონარქის ხელში, იგი თვითონ გამოსცემს და აღასრულებს კანონებს და უფლებამოსილია უშუალოდ ახორციელებდეს ადმინისტრაციულ მმართველობას ან ამ მიზნით დანიშნოს მთავრობა. ე.ი აბსოლუტური მმართველობის დროს, მმართველობის სამივე შტო აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ერთი პირის მონარქის ხელშია და მისი ხელისუფლება არავისგან და არაფრით არ არის შეზღუდული.

მონარქიულ სახელმწიფოში არ არსებობს არც კონსტიტუცია და არც პარლამენტი. ერთი ფიზიკური პირი - მონარქი ადგენს, ახორციელებს და განსჯის სახელმწიფოში

[3] **დელეგირება** - პოლიტიკური ჯგუფის, ორგანიზაციის ან სახელწიფოს მიერ ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის ნდობით, უფლებებითა და ვალდებულებებით აღჭურვას გარკვეული სამუშაოს განსახორციელებლად.

მიმდინარე პროცესებს. მისი ხელისუფლების იურიდიულად შემზღუდავი არანაირი მექანიზმი არ არსებობს. თუმცა, მონარქი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მსოფლიოსა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ თუ ჩვეულებით სიტუაციებს.

აბსოლუტური მონარქიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო XVII საუკუნის საფრანგეთი, რომლის ერთპიროვნული მმართველი იყო „მეფე მზედ“ წოდებული, ლუი XIV. მისი ყველაზე ცნობილი გამონათქვამია: **„სახელმწიფო - ეს მე ვარ“.** თანამედროვე მსოფლიოში აბსოლუტური მონარქიის მმართველობის სპეციფიკიდან გამომდინარე ამგვარი სახელმწიფოების რიცხვი შეზღუდულია. აბსოლუტური მონარქიული სახელმწიფოებია: ბუტანი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბრუნეი, სვაზილენდი, ომანი, და საუდის არაბეთი.

კონსტიტუციური ანუ შეზღუდული მონარქია. შეზღუდული მონარქია ეწოდება ისეთ მონარქიას, რომელშიც მონარქის ხელისუფლება იზღუდება რომელიმე ორგანოს მიერ. მონარქის ხელისუფლების შემზღუდავ ორგანოებს შეიძლება წარმოადგენდეს წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო, პარლამენტი, კონსტიტუცია, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება.

შეზღუდული მონარქია, თავის მხრივ, რამდენიმე სახედ იყოფა: **წოდებრივ-წარმომადგენლობითად და კონსტიტუციურად.**

წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია იმით ხასიათდება, რომ მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია პრივილეგირებული წოდების ან მათი წარმომადგენლების მიერ შექმნილი რომელიმე ორგანოს მეშვეობით. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, როგორც მონარქიული მართვა-გამგეობის სახე, ჩამოყალიბებას იწყებს მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ პერიოდში ინგლისში პარლამენტის სახელწოდებით შეიკრიბა წოდებრივი ორგანო, რომელიც 1295 წლიდან მუდმივ საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცა. XVII საუკუნიდან ინგლისში ყალიბდება **საპარლამენტო მონარქია.** ამ პერიოდიდან ინგლისის მეფის მიერ გამოცემული აქტი ძალაში შედიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მასზე მეფის ხელწერის გარდა ინგლისის მთავრობის პირველი მინისტრის ხელწერაც იქნებოდა. ამავე დროს მეფე ინარჩუნებდა პარლამენტის მიერ მიღებულ

კანონზე ვეტოს[4] უფლებას. თუმცა ეს უფლება ინგლისის მონარქს 1707 წლის შემდეგ არ გამოუყენებია.

საგულისხმოა, რომ მონარქის უფლებების შეზღუდვის იდეა, მე-12 საუკუნის საქართველოში ,,კარავის" სახით გაჩნდა. ,,კარავის დაცემის" ანუ პარლამენტის მაგვარი დაწესებულების დაარსება მოითხოვა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა დასმა, რომლის პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნას და სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება-განხორციელებას სხვადასხვა ორგანოების მიერ. სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება ყუთლუ-არსლანის მომხრეებისაგან შემდგარ პარლამენტს უნდა მიკუთვნებოდა, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება მეფეს. ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ”კარავის” იდეა არ წარმოადგენს პარლამენტურ მოძრაობას. ”იგი ითვალისწინებდა არა ხელისუფლების დანაწილებას და პარლამენტის შემოღებას, არამედ ცენტრალური მმართველობის გამოყოფას მეფის კარისაგან. ამ დაწესებულების გადაწყვეტილებებს კანონის სახე უნდა მიეღო მაშინ, როცა მეფე დაამტკიცებდა”.[2] ასეა თუ ისე, აღნიშნული პოლიტიკური დასის მოთხოვნათა მიხედვით, გარკვეულად იზღუდებოდა მეფის უფლებები, იგი მონაწილეობას ვერ ღებულობდა ”კარავის” მუშაობაში. ,,კარავი" იქნებოდა მუდმივმოქმედი ორგანო, რომელშიც მსხვილ ფეოდალებთან ერთად მონაწილეობას ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლებიც მიიღებდნენ. ,,კარავის" დაარსების საქმე მე-12 საუკუნის საქართველოში მარცხით დამთავრდა, მიუხედავად ამისა იგი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში.

კონსტიტუციური მონარქია მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელშიც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია აპარლამენტის მიერ, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქცია აქვს შეთავსებული, რის გამოც მონარქი „იძულებულია“ მის წარმომადგენელთა აზრსა და

---

[4] **ვეტო** - *L.* **veto “ აკრძალვის დადება“** . სახელმწიფოს მეთაურის ან პარლამენტის ზედა პალატის უფლება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლა (საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით ეს უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტს).

ინტერესებს ანგარიში გაუწიოს. მაგრამ, ამავე დროს მონარქი ინარჩუნებს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე იურიდიულ თუ ფაქტობრივ გავლენას. კონსტიტუციური მონაქიის დროს მონარქი ნიშნავს მთავრობას, მაგრამ ეს უკანასკნელი პასუხს აგებს არა მონარქის, არამედ პარლამენტის წინაშე. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, იგი მთლიანად დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

არსებობს საპარლამენტო მონარქიის ფორმა, რომლის დროსაც მონარქი იურიდიულად ითვლება სახელმწიფოს მეთაურად, მაგრამ რეალურად იგი სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობას არ იღებს და იქმნება მდგომარეობა, როცა მონარქი **«მეფობს, მაგრამ არ მართავს»**. ძირითადი დამახასიათებელი საპარლამენტო მონარქიისა არის ის, მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, ასევე ის, რომ მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტის მიერ ე.ი. პარლამენტს შეუძლია სათანადო მდგომარეობის შექმნის შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობის გადაყენება მისთვის უნდობლობის გამოცხადებით.

ზოგიერთი ტიპის კონსტიტუციურ მონარქიაში ვეტოს უფლება აქვს (მაგ.იაპონიაში),ზოგიერთში ამის უფლება საერთოდ არ აქვს, ან აქვს, მაგრამ არ იყენებს მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მონარქს ვეტოს უფლება დაახლოებით სამასი წელია არ გამოუყენებია. [19]

მიუხედავად იმისა, რომ მონარქი საპარლამენტო მონარქიებში შეზღუდულია, იგი მხოლოდ „დეკორაციული“ ფიგურა როდია. მონარქი წარმართავს მთავრობის საქმიანობას პრემიერ-მინისტრთან ერთად. კონსტიტუციური მონარქიას აქვს შესაძლებლობა პარლამენტის დათხოვნისა, ამის თაობაზე გადაწყვეტილებას, ფაქტობრივად, იღებს პრემიერ–მინისტრი, მაგრამ აფორმებს თავისი აქტით მონარქი. მონარქი პირდაპირ ერევა მთავრობის ფორმირების პროცესში და მისი პოლიტიკის განსაზღვრაში, ხელს აწერს საკანონმდებლო აქტებს. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება დანია, ბელგია, ჰოლანდია.

დიდ ბრიტანეთში, მონარქს, მისი უფლებრივი არსენალი საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერიოს სახელმწიფოს მართვის პროცესში, მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და გამოიყენოს ვეტოს უფლება.

აქ მონარქი ქვეყნის ეკლესიის მეთაურიცაა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც, მას შეუძლია ომის გამოცხადება და ზავის დადება, ხელშეკრულების რატიფიკაცია[5] და დენონსაცია,[6] ლორდთა პალატის[7] წევრთა და დიპლომატიური წარმომადგენლების, არმიის და ფლოტის გენერალიტეტის დანიშვნა და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოში მონარქიული სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა საპარლამენტო მონარქიის სახით არსებობს.

კონსტიტუციური მონარქიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან დიდი *ბრიტანეთი, ესპანეთი, ჰოლანდია, ბელგია, ავსტრალია, კანადა, დანია, ნორვეგია, შვედეთი.* ხოლო აზიის ქვეყნებიდან კონსტიტუციური მონარქია არის: ბუტანი, კამბოჯა, იაპონია და ტაილანდი. *მაროკო, ლესოტო (აფრიკა). იორდანია და მალაიზიაც* კონსტიტუციური მონარქიაა, მაგრამ მათი მონარქები გარკვეულ ძალაუფლებას კვლავ ინარჩუნებენ. კერძოდ, მონარქი ნიშნავს მინისტრებს, აყალიბებს მთავრობას და ამაში იგი პარლამენტს ანგარიშს არ უწევს, მთავრობა კი, თავის მხრივ, პასუხისმგებელი მხოლოდ მონარქის წინაშეა.

აბსოლუტური და დუალისტური მონარქიების მსგავსად, საპარლამენტო მონარქიაშიც რამდენიმე ნაირსახეობას განასხვავებენ. მაგალითად, ტაილანდის პარლამენტში დიდ როლს თამაშობენ სამხედროები, მათ მინიჭებული აქვთ მნიშვნელოვანი უფლებები, ფაქტობრივად, ისინი მართავენ ქვეყანას, იყენებენ მონარქის სახელსაც კი, რის გამოც ასეთ მმართველობას **მილიტარისტულ-საპარლამენტო მონარქიას** უწოდებენ. ასევე, საპარლამენტო მონარქიის სახესხვაობას წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნები, რომლებშიც დიდი ბრიტანეთის მონარქის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი მეთაურობს, ასეთ მართვა-გამგეობას **გაშუალებულ საპარლამენტო მონარქიას** უწოდებენ.[2]

---

[5] **რატიფიკაცია** - სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ ამ სახელმწიფოს სახელით დადებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების **დამტკიცება**.

[6] **დენონსაცია** - სახელმწიფოს განცხადება ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შეწყვეტისა ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ.

[7] **ლორდთა პალატა** *E.* **House of Lords** დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ზედა პალატა

სამართალში არსებობს ასევე **დუალისტური მონარქიის ცნება,** რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მართვის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ძალაუფლება ფორმალურად გადანაწილებულია მონარქსა და პარლამენტს შორის მონარქის სასარგებლოდ. მონარქიის დუალისტური ხასიათი ისაა, რომ აქ ერთდროულად თავს იყრის ორი ძლიერი ხელისუფლება: მონარქის მემკვიდრეობითი ხელისუფლება და ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი.

მონარქი და პარლამენტი აკონტროლებს ერთმანეთს. დუალისტური მონარქიის დროს სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის მონარქს, მაგრამ იგი შეიძლება დამოუკიდებელიც იყოს. მონარქს აქვს კანონებზე ხელის მოწერის უფლება, იგი ასევე სარგებლობს აბსოლუტური ვეტოს უფლებით. მეფეს უფლება აქვს მიიღოს ბრძანების სახის აქტები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, კანონებშიც შეიტანოს ცვლილებები მის მიერ მიღებული ბრძანებებით.

დუალისტური მონარქიის დროს მნიშვნელოვანი მოვლენაა – კონტრასიგნაცია.[8] კონსტიტუციონალიზმის დოქტრინაში კონტრასიგნაცია სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი აქტების პრემიერ-მინისტრის (იშვიათად-შესაბამისი სფეროს მინისტრის) მხრიდან თანახელმოწერას გულისხმობს, რის შედეგად აქტი იძენს იურიდიულ ძალას და მის აღსრულებაზე სამართლებრივი თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება პრემიერ-მინისტრს.

კონტრასიგნაცია ევროპულ სამართალში მე-19 საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა და დღემდე მოქმედებს ევროკავშირის «ძველი“ წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ფინეთი). თავდაპირველად იგი სათავეს 1701 წლიდან იღებს, ინგლისის “მოწყობის აქტი“-თ, რომელმაც საბოლოოდ შეზღუდა მონარქის აბსოლუტური ძალაუფლება და დაამკვიდრა დუალისტური მონარქია.[5]

---

[8] **კონტრასიგნაცი**ა - სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი აქტების პრემიერ-მინისტრის (იშვიათად-შესაბამისი სფეროს მინისტრის) მხრიდან **თანახელმოწერას** გულისხმობს, რის შედეგად აქტი იძენს იურიდიულ ძალას და მის აღსრულებაზე სამართლებრივი თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება პრემიერ-მინისტრს.

კონტრასიგნაციის მექანიზმის აღდგენა მოხდა აღმოსავლეთ ევროპაშიც, განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმების შედეგად (პოლონეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ხორვატია, ლიტვა, ლატვია, უკრაინა). კონტრასიგნაციის ინსტიტუტი ისტორიულად, ორი სამართლებრივი პრინციპის - მონარქის სუვერენობისა და პარლამენტის უზენაესობის პრინციპების დაპირისპირების შედეგად აღმოცენდა. როგორც ცნობილი კონსტიტუციონალისტი ანდრაშ შაიო აღნიშნავს, "კონსტიტუციური პრობლემა იყო, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მეფის გაკონტროლება - რომლის პასუხისმგებლობის საკითხიც ვერც პიროვნულ და ვერც მისი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის რანგში, ვერ დგებოდა"[16]

მონარქის უფლებებში შედის პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა, მას შეუძლია ასევე დანიშნოს მინისტრები, ჩამოაყალიბოს მთავრობა და ამაში მან არ გაუწიოს ანგარიში პარლამენტს, მთავრობა კი, თავის მხრივ, პასუხისმგებელია მხოლოდ მონარქის წინაშე. დუალისტურ სახელმწიფოში მონარქს, შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლება. პარლამენტის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, რომელიც საკმაოდ ძლიერი ზემოქმედების საშუალებაა, მაგრამ გამოიყენება წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

ამრიგად, დუალისტური მონარქია არის შუალედური ფორმა აბსოლუტურ მონარქიასა და საპარლამენტო მონარქიას შორის. ამრიგად, დუალისტური მონარქია ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა პარლამენტს არ შეუძლია მონარქი ჩამოაშოროს ხელისუფლებას, ხოლო მონარქს კი არ შეუძლია ერთპიროვნულად მართოს ქვეყანა. პარლამენტიც და მონარქიც ყოველთვის ცდილობენ უფრო მეტი ხელისუფლება მოიპოვონ, მონარქს სურს თავისი ხელისუფლება აბსოლუტური გახადოს, ხოლო პარლამენტს კი - კიდევ უფრო შეზღუდოს მონარქის ხელისუფლება და მონარქია საპარლამენტო ფორმაში გადაიყვანოს, ამიტომაცაა, რომ თანამედროვე დუალისტური მონარქიის განხოციელება კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე არც თუ ისე იოლია, რადგან იგი იხრება ხან ერთი – აბსოლუტური

მონარქიის, ხან მეორე – საპარლამენტო მონარქიას შორის მონარქიული მმართველობის სასარგებლოდ, მონარქსა და პარლამენტის დაპირისპირების დინამიკის ფონზე.

რაც, შეეხება **არჩევით მონარქიას,** ეს ისეთი მონარქიაა, როდესაც მისი წინამორბედი მონარქის უფლებამოსილებების შეწყვეტის შემდეგ ახალ მონარქს ირჩევს პარლამენტი, მონარქიული ოჯახის წევრები ან სხვა სპეციალური ორგანო. არჩევითი მონარქიის მქონე ყველაზე ცნობილი მაგალითი იყო საღვთო რომის იმპერია, სადაც მონარქს ჰაბსბურგთა გვარის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მცირე საბჭო ირჩევდა.

ამრიგად, მონარქია, როგორც სახელმწიფოს მართვის ფორმა, მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდ პერიოდს მოიცავს. სწორედ ამ მოცულობიდან გამომდინარე მოხდა მისი სხვადასხვა სახით განვითრება და სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. თანამედროვე ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში დღესაც არის მონარქი, თუმცა აბსოლიტური მონარქიის ფორმას ამ პერიოდში უკვე არსად ვხვდებით. საქართველოში მონარქია 1801 წელს დასრულდა.

2017 წლის 17 ივნისს სამების საკათედრო ტაძარში გამართულ საკვირაო ქადაგებაზე პატრიარქმა განაცხადა:

კონსტიტუციურ მონარქიას სიმშვიდე შემოაქვს ქვეყანაში. საქართველო ძველი ცივილიზაციის ქვეყანაა, თავისი ტრადიციებით, კულტურითა და უძველესი მონარქიით. თანამედროვე მსოფლიოში არსებული მონარქიებს კონსტიტუციური ეწოდებათ, როცა მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. ეს, რა თქმა უნდა, დღეს და ხვალ ვერ მოხდება, მაგრამ უნდა გავაანალიზოთ წარსული, დღევანდელი დღე და მომავალი"

აღნიშნულ განცხადებას მოყვა აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა მოქმედმა ხელისუფლებამ შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა.[14]

1.2. **რესპუბლიკა**

რესპუბლიკა[9] სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა (140-ზე მეტი) რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ფორმას მისდევს. იგი მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლებას ანხორციელებს ხალხის მიერ გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო (პარლამენტი, კონგრესი, უმაღლესი საბჭო და სხვა) ან ამომრჩევლებისაგან თუ წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეული სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. რესპუბლიკური მმართველობის დროს **„სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა** ხალხი“. მონარქიისაგან განსხვავებით, არესპუბლიკურ მმართველობაში კანონებს ქმნიან და აღასრულებენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები, სახელმწიფო მმართველობა კოლეგიურ ხასიათს ატარებსდა გადაწყვეტილებების მიღება ხდება არჩევნებისა და კენჭისყრის გზით.

პრეზიდენტის არჩევა რესპუბლიკური მართვა-გამგეობის მქონე ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხორციელდება: მას ან საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები ირჩევენ (საქართველო, რუსეთი, ბრაზილია, ეგვიპტე და სხვა); ან ამომრჩეველთა განსაკუთრებული კოლეგია (გერმანია, იტალია, აშშ; ინდოეთი და სხვა) ან პარლამენტი (თურქეთი, ისრაელი, და სხვა). პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ქვეყნის კონსტიტუციისა თუ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ძირითადად ეხება დაბადებით მოქალაქეობას, ასაკს, მინიმალურ ასაკად ძირითადად მიჩნეულია 35 წელი, ზოგან 45, 50 წელიც.

საქართველოს პრეზიდენტის შესახებ რეგულაციები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე თავში. კერძოდ, 49–ე და 50–ე მუხლეში განმარტებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ქვეყნის წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობებში. ის აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. საქართველოს

[9] **რესპუბლიკა** – ლათ. Res Publika — „ხალხის საქმე“.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლებია და საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც.[9] საქართველოში პრეზიდენტის თანამდებობა პირველად შემოიღეს 1991 წელს და დღემდე ქვეყანას 5 პრეზიდენტი ჰყავდა. იხ. ცხრილი N1

ცხრილი N1 – საქართველოს პრეზიდენტები

ზვიად გამსახურდია	1991–1992
ედუარდ შევარდნაძე	1995–2003
მიხეილ სააკაშვილი ნინო ბურჯანაძე	2004–2013 ორჯერ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას: 1. 2003 წ და 2. 2007 წ
გიორგი მარგველაშვილი	2013–2018
სალომე ზურაბიშვილი	2018 და დღემდე

რესპუბლიკურ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირების წესი არჩევითია, ე.ი, ხელისუფლება ატარებს წარმომადგენლობით ხასიათს. რესპუბლიკური მმართველობა ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, იგი დაყოფილია სამ დამოუკიდებელ შტოდ: **საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო** ხელისუფლებად. აღნიშნული საკითხის უკეთ და დეტალურად გაანალიზებისათვის განვიხილოთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფუძემდებლების შარლ ლუი დე მონტესკიესა და ჯონ ლოკის ნაშრომები - „კანონთა გონი“ და „მმართველობის მეორე ტრაქტატი“

- **„კანონთა გონი“ - შარლ ლუი დე მონტესკიე**

შარლ ლუი დე მონტესკიე (1689-1755) - ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი ავტორი წიგნებისა „სპარსული წერილები“ (1721), „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და

დაცემის შესახებ“ (1734) და „კანონთა გონი“ (1748). შარლ ლუი მონტესკიე დიდ ფრანგ განმანათლებელთა (ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო, დენი დიდრო) რიცხვს ეკუთვნის. იგი ერთი იმათგანია, ვინც არა მარტო საფრანგეთს, არამედ მთელ ევროპას და კაცობრიობას საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნება ასწავლა.

მონტესკიე თავის ნაშრომში „კანონთა გონი“ სახელმწიფო მმართველობის ფორმის სამ ძირითად სახეს განასხვავებს: **რესპუბლიკას, მონარქიას და დესპოტიას.**

რესპუბლიკა მონტესკიეს გაგებით ისეთი წყობაა, რომელშიც უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს ან მის რომელიმე ნაწილს.

მონარქია ისეთი წყობაა, როცა სახელმწიფოს ერთი პიროვნება მემკვიდრეობით მართვას, მაგრამ კანონების მიხედვით, რომლებიც მასზე მაღლა დგანან და მონარქი, რაც არ უნდა ძლიერ ეწადოს ან ესაჭიროებოდეს მას ეს, მის წინააღმდეგ ვერ წავა. ანუ მონტესკიე მონარქიაში გულისხმობს **კონსტიტუციურ მონარქიას,** რომელიც მის დროს უკვე მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული იყო ინგლისში 1640-1660 წლების რევოლუციის შემდეგ, როდესაც აჯანყებულებმა მეფეს ძალაუფლების უდიდესი ნაწილი დაათმობინეს პარლამენტის სასარგებლოდ.

რაც შეეხება **დესპოტიას** მას მონტესკიე განიხილავს როგორც ერთის მმართველობას, მაგრამ ისეთს, როცა კანონები არ არსებობენ ან არსებობენ მხოლოდ ფორმალურად და ის ერთი პიროვნება თავის მმართველობას ახორციელებს საკუთარი სურვილისა და ინტერესების მიხედვით და არა კანონთა მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ მონტესკიეს ეს კლასიფიკაცია არ ემთხვევა წყობათა იმ დაყოფას, რომელიც მისი დროის აზროვნებისათვის ტრადიციული იყო: დემოკრატიად ანუ უმრავლესობის ძალაუფლებად, არისტოკრატიად ანუ უმცირესობის ძალაუფლებად და მონარქიად ანუ ერთის ძალაუფლებად. დემოკრატიასაც და არისტოკრატიასაც მონტესკიე ერთი და იმავე წყობის რესპუბლიკის ნაირსახეობად თვლიდა, სამაგიეროდ, ერთის მმართველობაში ორ, პრინციპულად სხვადასხვა, ფორმას (მონარქიას და რესპუბლიკას) არჩევს. მის თვალში ნაკლებ არსებითია ის გარემოება, თუ ხალხის რა ნაწილს ეკუთვნის ხელისუფლება - უდიდეს თუ უმცირეს, არამედ ის გარემოება, თუ როგორ ხორციელდება

იგი - კანონთა მიხედვით თუ მათ გარეშე. მონტესკიე თავის ნაშრომში **„კანონთა გონი“** იმასაც კი ამბობს, რომ შესაძლებელია დესპოტია განხორციელდეს არა ერთი ადამიანის, არამედ ადამიანთა რაღაც გარკვეული სიმრავლის მიერ, მთავარია **კანონის როლი** და არა მმართველობის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა.

ჩამოთვლილი სამი წყობა, მონტესკიეს შეხედულებით, თავისებურ ფსიქოლოგიურ პრინციპს ემყარება. უფრო ზუსტად, მონტესკიე მას „გულ-გონების რაღაც გარკვეული უნარებად“ მოიხსენიებს, რომლებიც ამა თუ იმ წყობის არსებობას შესაძლებელს ხდის და მისი საყრდენი არის. რესპუბლიკაში ასეთი პრინციპია **„ქველობა„** (ქართულად ამ ტერმინს ზოგჯერ „სათნოებადაც“ თარგმნიან). ავტორი აქვე გვაფრთხილებს, რომ **ქველობა რესპუბლიკაში** - ეს არის სამშობლოს სიყვარული ე.ი თანასწორობის სიყვარული. ეს სრულებითაც არ გახლავთ არც მორალური ქველობა და არც რელიგიური ქველობა. ეს **პოლიტიკური ქველობაა.** „პოლიტიკური ქველობა კი მე ვუწოდე სამშობლოს და თანასწორობის სიყვარულს“.[17] იგი ის ზამბარაა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს რესპუბლიკური მმართველობა, მსგავსად იმისა, როგორც ღირსებაა მონარქიის მამოძრავებელი ზამბარა.

მონარქია რესპუბლიკისაგან განსხვავებით, მოქალაქეთა ქველობის გარეშეც გაძლებს, ვინაიდან ყველას მარეგულირებელი ნება აქ მოქალაქეებზე მაღლა დგას - იგი მეფეს ეკუთვნის და მოქალაქეთა ქცევას არსებული კანონების მეშვეობით მართავს. სამაგიეროდ მონარქიის პრინციპია **ღირსება** იგივე **სახელი, პატივი.**

რაც შეეხება დესპოტიას, მისი პრინციპია **შიში.** ანუ მმართველობის ეს ფორმა შიშზეა დაფუძნებული და ადამიანები მოქმედებენ ამ შიშიდან გამომდინარე, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ნაწილი მოქმედებს ისე, როგორც შიში უკარნახებს, ხოლო მეორე ნაწილის ქმედება განისაზღვრება სხვებისთვის შიშის ჩანერგვით. აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ადამიანებს შიში უკვე არსებული გარკვეული „საშიში“ მოვლენებისა, ან მოსალოდნელი „საშიში“ მოვლენების განვითარებით უყალიბდება, ამიტომ საზოგადოების ერთი ნაწილი მონტესკიეს აზრით მოქმედებს უკვე არსებული დესპოტიის შიშით, ხოლო ერთი ნაწილი მუშაობს ამ შიშის დანერგვაზე და მოქმედებს მოსალოდნელი შიშით.

მონტესკიეს აზრით, ვერც ერთი სახელმწიფო წყობა, თავისთავად ვერ იძლევა, იმის გარანტიას, რომ ადამიანს აბსოლუტური თავისუფლება ექნება. ასეთი გარანტიის არსებობისთვის აუცილებელია ძალაუფლების იმგვარად მოწყობა, რომ მას, ვის ხელშიც იგი არის, მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა არ მიეცეს და შესაბამისად, საამისო ცდუნებაც ვერ გაუჩნდეს. ეს კი, მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ძალაუფლების სხვადასხვა სახეობები განაწილებული იქნება სხვადასხვა უწყებებს შორის. სახელდობრ, აუცილებელია, რომ სხვადასხვა ხელში იყოს **საკანონმდებლო, აღმასრულებელი** და **სამოსამართლო (სასამართლო)** ხელისუფლება, რომელიც თვალს ადევნებს კანონთა შესრულებას და მათ დამრღვევებს სჯის.

ხელისუფლების ეს სამი შტო აწონასწორებს და აკავებს ერთიმეორეს. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, მაშინ თავისუფლება ნებისმიერი ფორმის სახელმწიფო წყობის დროს დაიკარგება. აუცილებელია კანონები დგინდებოდეს ცალკე სტრუქტურის მიერ, როგორც ზოგადი და საყოველთაოდ აუცილებელი, კონკრეტული და წარმავალ გარემოებათაგან დამოუკიდებელი მოვლენა, ასევე როგორც „საფუძველი სამართლებრივი ცხოვრებისა“, შემდგომ აღმასრულებელ ხელისუფლებას აღნიშნული კანონების აღსრულების ვალდებულება აკისრია, ანუ ამ სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს კანონების ცხოვრებაში გატარება და თითოეულ ინდივიდამდე დაყვანა და ბოლოს არსებობდეს ცალკე სასამართლო უწყება, რომელიც არანაირად არ იქნება დამოკიდებული კანონმდებელსა თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და დამოუკიდებლად განახორციელებს კონტროლოს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ნორმების გატარებაზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება არსებობდეს საზოგადოებში, ის რასაც მონტესკიე ნამდვილ თავისუფლებად მიჩნევს.

ამრიგად, მონტესკიემ შემოგთავაზა ხელისუფლების დანაწილების უნივერსალური პრინციპი და რაში გამოიხატება ეს უნივერსალურობა? - სამივე შტო დამოუკიდებელია, ამავე დროს სამივე ჰორიზონტალურ სიბრტყეზეა განლაგებული, ანუ არ გახლავთ ვერტიკალური და იერარქიული, მაგრამ მთავარი მონაპოვარი მონტესკიეს არის ის რომ ამ დანაწილებით შესაძლებელია ყოველმა მათგანმა ერთმანეთი ერთის მხრივ აკონტროლონ და მეორეს მხრივ ურთიერთშეთანხმებულად იმუშაონ. მაგალითად, პარლამენტმა მიიღო კანონი,

მთვარობამ უნდა აღასრულოს. ყოველწლიურად მთავრობის მეთაური - პრემიერი, ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის წინაშე, ანუ მან უნდა მოახსენოს კანონის მიმღებ ორგანოს თუ როგორ გაატარა კანონი პრაქტიკაში, რა გააკეთა მისი სრულყოფილი რეალიზაციისათვის და ჰქონდა თუ არა ადგილი ხარვეზებს, რომელიც პრაქტიკული მუშაობისას გამოვლინდა.

და ბოლოს სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას კანონის უზენაესობა და მისი დარღვევის ყველა ფაქტზე მოახდინოს რეაგირება და აუცილებლად მიიღოს ყველა საჭირო ზომა დამრღვევისა თუ დამნაშავის პასუხისმგებლობის თაობაზე. სასამართლო ასევე განიხილავს კანონის კანონიერების საკითხებს, ანუ თუ კანონი სცილდება კონსტიტუციურ ფარგლებს, ან საჭიროა მისი ოპტიმიზაცია ამ შემთხვევაშიც სასამართლო, კერძოდ საკონსტიტუციო განიხილავს საქმეს და მიმართავს პარლამენტს ცვლილებების შეტანის თაობაზე. რაც შეეხება სასამართლოს უფლებამოსილებებს და სტრუქტურას დადგენილია საკანონმდებლო ორგანის მიერ. სწორედ ამიტომ მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არის უნივერსალური რომლის მსგავსი სამყაროში არ არსებობს და დღეს ყველა ცივილური სახელმწიფოს ხელისფლების განხორციელების წყაროა. პრობლემა იმაში მდგომარეობს თუ რამდენად ობიექტური, კომპეტენტური და კანონიერია აღნიშნული სტრუქტურები შინაარსობრივად, რადგან ამაზეა დამოკიდებული ქვეყანაში ადამიანთა თანასწორობა და სახელმწიფოებრივი განვითარება.

- **ჯონ ლოკი „მმართველობის მეორე ტრაქტატი“**

ჯონ ლოკი (1632 – 1704) - არის ინგლისელი მოაზროვნე, რომლის სახელი მჭიდროდაა ასოცირებული განმანათლებლობასთან. მას ხშირად ლიბერალიზმის ფუძემდებლადაც მიიჩნევენ. პოლიტიკური მოძღვრების ძირითადი იდეები მას ჩამოყალიბებული აქვს „ორ ტრაქტატში მმართველობაზე“, განსაკუთრებით კი მის მეორე ნაწილში.

მმართველობის საუკეთესო ფორმებად ლოკი განიხილავს **დემოკრატიას, ოლიგარქიასა და მონარქიას.** მონარქიაში გამოყოფს მემკვიდრეობით და არჩევით

მონარქიას. ლოკის შეხედულებისამებრ, სახელმწიფოს მმართველობის ფორმა იმის მიხედვით ირკვევა, თუ ვის ხელშია აღმასრულებელი ხელისუფლება. აგრეთვე, უმაღლეს ხელისუფლებაში გულისხმობს უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებასაც. ლოკის მიხედვით საკანონმდებლო ხელისუფლებას გააჩნია შეზღუდვები. კერძოდ, მიუხედავად საკანონმდებლო ხელისუფლების ძლიერებისა, მას არ აქვს უფლება აბსოლუტური და დესპოტური ხელისუფლება გაავრცელოს მოქალაქეებზე. მისი მმართველობა უნდა ემყარებოდეს წინასწარ ცნობილ, მდგრად კანონმდებლობას, რომელსაც განახორციელებენ სპეციალურად ამისათვის არსებული პირები. ხელისუფლება იქმნება ადამიანის საკუთრების უფლების დასაცავად, რაც მათ საზოგადოებებად ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მაშასადამე, ხელისუფლებას არ შეუძლია საკუთრება ჩამოართვას რომელიმე ადამიანს მისი თანხმობის გარეშე, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა. ასევე, საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია სხვას მიანიჭოს კანონის გამოცემის უფლება. ამას გარდა, საკანონმდებლო ორგანოს წევრები პერმანენტულად განიცდიან როტაციას,[10] რაც ლოკის აზრით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს აცილებს საზოგადოებას. ვინაიდან, კანონები იქმნება კონკრეტულ დროს, მაგრამ ხანგრძლივი გამოყენების პერსპექტივით სახელმწიფომ უნდა აღასრულოს და აკონტროლოს ისინი. სწორედ ამის გამო, ჯონ ლოკი **მიჯნავს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას. ხოლო სასამართლოს, საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილად მიიჩნევს.**

აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს მუდმივად სამუშაო მდგომარეობაში, მას ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ერთი პირი, რომელიც ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ. აღმასრულებელი ხელისუფლებას ევალება ახალი არჩევნების დანიშვნა საკანონმდებლო საკრებულოში, რომლის გაკონტროლება შეუძლია ნაწილობრივ თუ არჩევნების პირობები გაწერილია კონსტიტუციაში, ხოლო თუ არა, მაშინ თავად განსაზღვრავს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

---

[10] **როტაცია** - *L.* rotatio **წრიული, ბრუნვითი მოძრაობა** 1.მონაცვლეობა, ცვლა; უფლებამოსილი ორგანოს შემადგენლობის პერიოდული განახლება.

და ბოლოს, ჯონ ლოკი თავის ნაშრომში შენიშნავს, რომ რეალურად **სახელმწიფოში ერთი უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება არსებობს, მაგრამ მასზე უფრო მაღლა დგას ხალხი, რომელიც ყველაზე დიდ ძალაუფლებას ფლობს,** რადგან ხელისუფლება მუდმივად ხალხის მიზნებისა და სურვილების აღსრულებისკენ უნდა იყოს მიმართული.[18]

რესპუბლიკა, როგორც მმართველობის ფორმა, საზოგადოების ისეთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მიმართულია იქეთკენ, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სახალხო ხელისუფლებიანობის პრინციპი. რესპუბლიკური მმართველობის დროს, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირების წესი არჩევითია, ე.ი, ხელისუფლება ატარებს წარმომადგენლობით ხასიათს თავისი კლასიკური გაგებით, მმართველობის ეს ფორმა, ნიშნავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალურ და სრულყოფილ განხორციელებას.

დღესდღეობით რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნები უფრო მეტია, ვიდრე მონარქიული. რესპუბლიკური მმართველობის ფორმის დამკვიდრება მე–20 საუკუნეში განხორციელდა და ამ მიზნის მისაღწევად კაცობრიობას მრავალი რევოლუციური პროცესის გადატანა მოუხდა. რესპუბლიკა, როგორც მმართველობის ფორმა ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება დემოკრატიის ცნებას, ვიდრე მონარქია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონარქიაც შეიძლება იყოს დემოკრატიული (თანამედროვე ინგლისი, ესპანეთი, იაპონია და სხვა), ხოლო რესპუბლიკაც შესაძლებელია ანტიდემოკრატიულ ხასიათს ატარებდეს, მაგალითად, გერმანია ჰიტლერის III რეიხის დროს, საბერძნეთი "შავი პოლკოვნიკების" დროს, ჩილე პინოჩეტის დროს და სხვა. შესაძლებელია დემოკრატიული მონარქია „დეფორმირდეს“ ანტიდემოკრატიული რესპუბლიკით, ასე მოხდა მაგალითად, საბერძნეთში, 1967 წლის გადატრიალების შემდეგ, 1973 წელს ლიკვიდირებულ იქნა მონარქია და დამყარდა დიქტატურა რესპუბლიკური მმართველობის ფორმტაში. [20]

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ თანამედროვე კონსტიტუციები, აფუძნებენ რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, იყენებენ ფორმულას **«დემოკრატიული რესპუბლიკა»** მაგ. იტალიის საფრანგეთის, კონსტიტუციები, ასეთ ფორმულირებას საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაც იყენებს, კერძოდ მისი პირველი

მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ შემდეგს: «საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა».

ერთმანეთისგან განასხვავებენ **საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შერეული** ტიპის მმართველობის რესპუბლიკას. სამივე მათგანმა სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით გარკვეული სახეცვლილება განიცადა. რესპუბლიკის ასეთ სახეებად დაყოფა კი იურიდიულ მეცნიერებაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა, ვინაიდან იგივე საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკების წარმოშობა, თავისი კლასიკური გაგებით, ამ პერიოდს უკავშირდება. კერძოდ, კი აქ ჩვენ ვგულისხმობთ გერმანიის 1949 წლის კონსტიტუციას, იტალიის 1946 წლის კონსტიტუციას და 1958 წლის (მეხუთე რესპუბლიკის) კონსტიტუციას. რაც შეეხება საპრეზიდენტო რესპუბლიკას, იგი თავისი კლასიკური გაგებით, ამერიკაში წარმოიშვა, ჯერ კიდევ მე–18 საუკუნეში, აშშ–ის 1787 წელს მიღებული, დღეს მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე.

1.3. საპარლამენტო რესპუბლიკა

საპარლამენტო რესპუბლიკა - რესპუბლიკური მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს პარლამენტი ასრულებს. საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია პარლამენტის უმაღლესობა ხელისუფლების სისტემაში. ეს უმაღლესობა გამოიხატება საპარლამენტო რესპუბლიკის ისეთ მთავარ თავისებურებაში, როგორიცაა მთავრობის ფორმირების საპარლამენტო წესი და პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის პასუხისმგებლობა სოლიდარული ხასიათისაა, რადგანაც მთავრობის ერთი წევრისადმი, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარისადმი, უნდობლობა, მთელი მთავრობის გადადგომას იწვევს.

საპარლამენტოა რესპუბლიკა, სადაც სახელმწიფოს მეთაურს არ გააჩნია ისეთი ფართო უფლებები, როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, რადგანაც ამ უფლებების უდიდესი ნაწილი მინიჭებული აქვს მთავრობის მეთაურს, რომელსაც პრემიერ-მინისტრს

უწოდებენ. პრემიერ-მინისტრი, ჩვეულებრივ, უმრავლესობის, ანდა პარტიების კოალიციის მეთაურია და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე მაღალი რანგის მინისტრი.

საპარლამენტო რესპუბლიკაში ძირითად რგოლს სახელმწიფო მექანიზმისა წარმოადგენს პარლამენტი. პარლამენტი, საპარლამენტო რესპუბლიკაში, საკანონმდებლო, საბიუჯეტო და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლთან ერთად, ფართო უფლებამოსილებებს ფლობს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ჩამოყალიბების საქმეში. იგი კანონების მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობისა და სახელმწიფოს მმართველობის სხვა ორგანოების ფორმირებაზე. საპარლამენტო რესპუბლიკაში მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. პარლამენტი ახდენს მთავრობის ფორმირებას, მისი ფორმირება ხდება იმ პარტიისაგან, რომელმაც უმრავლესობა მოიპოვა პარლამენტში და მთავრობის თავმჯდომარეც (პრემიერ-მინისტრი) ამ პარტიის ხელმძღვანელია. მთავრობა არა მარტო ფორმირდება პარლამენტის მიერ, არამედ ასევე პასუხისმგებელია მის წინაშე.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის აქტები იურიდიულ ძალას, როგორც წესი, იძენენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას პარლამენტი ან მთავრობა დაეთანხმება. პრეზიდენტის აღნიშნულ აქტებზე პასუხისმგებლობაც ამ უკანასკნელთ ეკისრებათ. საპარლამენტო მმართველობის სამშობლოდ დიდი ბრიტანეთი მიიჩნევა. ამ მოდელით ძალაუფლების უდიდესი ნაწილი პარლამენტის ხელშია თავმოყრილი და აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირება პრაქტიკულად პარლამენტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა, საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან და საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ.

თანამედროვე სახით, საპარლამენტო მმართველობა ისტორიულად მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ინგლისში იწყებს ჩამოყალიბებას. ევროპის კონტინენტზე ის ჯერ ბელგიაში, 1875 წლიდან საფრანგეთში, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, ჰოლანდიასა და სკანდინავიის ქვეყნებში ვითარდება.[4] მისი მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ პარლამენტს შეუძლია მთავრობის პოლიტიკური საფუძვლით დათხოვნა, მთავრობა არის პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი. მთავრობის უფლებამოსილებათა

განხორციელების ვადა ძირითადად პარლამენტზე, მის უმრავლესობაზეა დამოკიდებული. პარლამენტი განსაზღვრავს, ასევე, მთავრობის შემადგენლობას. ამ უკანასკნელის სტაბილურობა და პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობაც პარლამენტზეა დამოკიდებული.

საპარლამენტო მმართველობის ინგლისური ტრადიცია მე-13 საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც წარუმატებელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, ფეოდალებთან დაპირისპირებამ და მათი ძალაუფლების დაკნინებამ გამოიწვია 1215 წელს ბარონთა აჯანყება, რასაც მხარი დაუჭირეს მოქალაქეებმა, რაინდებმა და სასულიერო პირებმა. დაამბოხებულთა გავლენით 1215 წლის 15 ივნისს მეფე ჯონ უმიწაწყლომ ხელი მოაწერა "თავისუფლების დიდ ქარტიას" (**„მაგნა ქარტას"** სახელითაც მოიხსენიებენ), რომელიც ზღუდავდა მის ძალაუფლებას და მეტ უფლებებს ანიჭებდა ბარონებსა და მოქალაქეებს.[12] ამის შემდეგ შეიზღუდა მეფის ხელისუფლება და გაიზარდა პარლამენტის ძალაუფლება, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა სოციალური წოდების წარმომადგენლობითი ორგანო გახდა. ინგლისის მთელი ისტორია, პრაქტიკულად მე-20 საუკუნემდე, მეფეს და პარლამენტს შორის არსებული ბრძოლაა ძალაუფლებისთვის, რომელიც საბოლოოდ პარლამენტის გამარჯვებით დასრულდა.

ინგლისი 1688 წლის „სახელოვანი რევოლუციის" შედეგად კონსტიტუციურ მონარქიად გარდაიქმნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეფის ხელისუფლება მხოლოდ პარლამენტის დადგენილებების აღმასრულებელ ინსტიტუციად იქცა. დროთა განმავლობაში, მონარქის სააღმსრულებლო ფუნქციაც სიმბოლურად გადაიქცა და ის მინისტრთა კაბინეტის ხელში მოექცა. აღმასრულებელ ხელისუფლებას, მთავრობას/მინისტრთა კაბინეტს დიდ ბრიტანეთში პარლამენტი აყალიბებს და სასამართლო ხელისუფლებაც მის ხელშია თავმოყრილი. ტრადიციულად, დიდ ბრიტანეთში სასამართლო ხელისუფლებას პარლამენტის ზედა პალატა – ლორდთა პალატა ითავსებდა, თუმცა, 2005 წლის რეფორმების შედეგად სასამართლო ხელისუფლებამ ცალკე დაიწყო ჩამოყალიბება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოყოფილი პარლამენტისგან. დიდი ბრიტანეთის მოდელს ხელისუფლების დანაწილების **„ვესტმინსტერის მოდელს"** უწოდებენ, რაც პრაქტიკულად ხელისუფლების სუსტ განაწილებას ნიშნავს.[1]

ბრიტანული მოდელისგან განსხვავებულია გერმანული საპარლამენტო მმართველობა. აქაც ხელისუფლება ძირითადად პარლამენტის ხელშია თავმოყრილი, მაგრამ სასამართლო და სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლებას მხოლოდ პარლამენტი არ აყალიბებს. ეს ორი ხელისუფლება სხვადასხვა სახელისუფლო შტოების ურთიერთშეთანხმების შედეგად იქმნება. თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ მინისტრთა კაბინეტს, რომელსაც პარლამენტის დადგენილი კანონების პრაქტიკაში გატარება ევალება, ექსკლუზიურად გერმანიის პარლამენტი, ანუ ბუნდესტაგი აყალიბებს. დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, გერმანია რესპუბლიკაა და არა კონსტიტუციური მონარქია. გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის შედეგად გაჩნდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც შემდგომში მთელ ევროპაში და მათ შორის საქართველოშიც გავრცელდა. საკონსტიტუციო სასამართლო გამოყოფილია უზენაესი სასამართლოსგან და მხოლოდ კონსტიტუციური დავის საკითხებს განიხილავს.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ საპარლამენტო მმართველობის მოდელი საკმაოდ გავრცელებულია და ევროპული ქვეყნების უდიდესი ნაწილი საპარლამენტო მმართველობისაა, თუმცა, თითოეულ ქვეყანას საკუთარი სპეციფიკა გააჩნია და სრულიად არ იმეორებს მეორე ქვეყნის მოდელს. საპარლამენტო რესპუბლიკებს მიეკუთვნებიან: *იტალია, გერმანია, ინდოეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ავსტრია, საბერძნეთი, სომხეთი, შვედეთი.*

1.4. საპრეზიდენტო რესპუბლიკა

მმართველობის ამ ფორმას ამერიკულსაც უწოდებენ, ვინაიდან მისი კლასიკური მოდელი სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა პირველად შემოღებული და დღეისთვის ძირითადად ამ კონტინენტზეა გავრცელებული. ამ ფორმის ძირითად ღირსებად მისი დამფუძნებლები მის სახალხო ფესვებს, აღმასარულებელი ხელისუფლების მაღალ სტაბილურობასა და სახელმწიფოს უფრო მაღალ ქმედითუნარიანობას მიიჩნევდნენ.[3]

საპრეზიდენტო რესპუბლიკის, ძირითადი მახასიათებელი ნიშანია პრეზიდენტის წამყვანი როლი სახელმწიფო მართვაში. ამ როლის შესაბამისად, პრეზიდენტი

ერთდროულად წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მოქმედებს პრეზიდენტის არჩევისა და მთავრობის ფორმირების არასაპარლამენტო წესი, რომლის შესაბამისად, პრეზიდენტი აირჩევა ქვეყნის მოსახლეობის მიერ საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით, ხოლო მთავრობას ქმნის პრეზიდენტი, ხშირად პარლამენტის თანხმობით. შესაბამისად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის არსებობა პარლამენტის წინაშე. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მთავრობის საქმიანობაში აუცილებლობას არ წარმოადგენს პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნდობის გამოცხადება.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პარლამენტი არ არის უფლებამოსილი თანამდებობიდან გადააყენოს მთავრობის წევრი, ამის შესაძლებლობა პარლამენტს ეძლევა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, იმპიჩმენტის[11] პროცედურის გამოყენებით. სხვა შემთხვევაში მთავრობის წევრებს, მინისტრებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი. პარლამენტს, თავის მხრივ, შესაძლებლობა აქვს დააყენოს საკითხი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

ფუნქციათა განაწილების შესაბამისად, პარლამენტი იღებს კანონებს, ხოლო მათ საფუძველზე და მის შესასრულებლად პრეზიდენტი მართავს ქვეყანას. ამ თანაფარდობისას პრეზიდენტს უფლება აქვს შეაყოვნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, ანუ ისარგებლოს **ვეტოს** უფლებით, რომლის გადასალახავად განსაკუთრებული პროცედურაა დადგენილი.[12] ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარლამენტი, თავის მხრივ, ახდენს პრეზიდენტის მიერ დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების რატიფიკაციას.

საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის ასევე დამახასიათებელია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ზედმიწევნით მკაცრი განხორციელება. ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა სამ დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოდ: აღმასრულებელი

---

[11] **იმპიჩმენტი** - *E.* **impeachment, to empeach გაკიცხვა, ბრალდება**. მაღალი თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენების განსაკუთრებული წესი. კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის.

[12] პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების შემდეგ - კონგრესი იწყებს პრეზიდენტის დაბრუნებული კანონის ხელახალ განხილვას და თუ მის გადალახვას კონგრესის ორივე პალატის ხმათა 2/3-ით შეძლებს, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება კანონის მიღება და პრაქტიკაში გატარება.

ხელისუფლება განსახიერდება, პრეზიდენტის პიროვნებაში, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტს ეკუთვნის, სასამართლო ხელისუფლება კი დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. აქ გარანტირებულია ყოველი განშტოების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა (პრეზიდენტიც და პარლამენტიც ხალხის მიერ არის არჩეული, პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა,ხოლო, თავის მხრივ, პარლამენტს არა აქვს უფლება მთავრობას გამოუცხადოს უნდობლობა და მთელი მისი შემადგენლობა გადააყენოს) და იმავდროულად მოქმედებს ბალანსების, ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემა, რომელიც მოწოდებულია გამორიცხოს რომელიმე განშტოების მისთვის დადგენილი კონსტიტუციური ფარგლებიდან გასვლა.[21]

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მთავრობა პოლიტიკურად პასუხისმგებელი მხოლოდ პრეზიდენტის წინაშეა. გარდა იმისა, რომ პრეზიდენტს გააჩნია მეთაურის ტრადიციული უფლებამოსილებები (სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელია, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, აქვს შეწყალების (ზოგან ამნისტიის) უფლება, აქვეყნებს კანონებს და ა.შ.) იგი აღმასრულებელ ხელისუფლებაში სრული ბატონ-პატრონია. მთავრობა, როგორც კოლეგიალური კონსტიტუციური ორგანო ამ სისტემაში ან არ არსებობს (აშშ), ან თუ არსებობს (ეგვიპტე) არის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ნაწილი, მისი სათათბირო ორგანო ამ სისტემაში მთავრობის ფორმალურ ხელმძღვანელს „ადმინისტრაციულ პრემიერს“ უწოდებენ. მინისტრები პოლიტიკურად პასუხისმგებელნი მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე არიან, პარლამენტს არ შეუძლია უნდობლობის გამოცხადებით თანამდებობიდან გადააყენოს ისინი.

რაც შეეხება პრეზიდენტის სხვა უფლებამოსილებებს, იგი გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს,[13] ხოლო საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს - კანონის ძალის მქონე აქტებსაც, პრეზიდენტი უფლებამოსილია ქვეყნის გარეთ წარმოადგინოს

[13] **ნორმატიული აქტი** - უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს მუდმივ ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. საქართველოს ნორმატიული აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება და სხვა.

თავისი სახელმწიფო, ასევე დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, მიიღოს რწმუნებათა და გაწვევის სიგელები უცხო ქვეყნების ელჩებისაგან და სხვა.

სახელწოდების მიუხედავად არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ საპრეზიდენტო მმართველობებში პრეზიდენტს ყველაზე მეტი ძალაუფლება აქვს. ძალაუფლება ხელისუფლების სამივე შტოს შორის პრაქტიკულად თანაბრადაა განაწილებული და ისინი ერთმანეთის კომპეტენციაში არ ერევიან, თუმცა არც ერთმანეთის გარეშე შეუძლიათ არსებობა. მაგალითად, პრეზიდენტი არის ქვეყნის მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი, თუმცა საკითხი ომის გამოცხადების და სამხედრო ხარჯების დაფვარვის შესახებ საკანონმდებლო ხელისუფლების გადასაწყვეტია.

როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, საპრეზიდენტო რესპუბლიკა, პრეზიდენტის ძლიერ ხელისუფლებას გულისხმობს, იგი მიჩნეულია ერის და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ, ქვეყნის სახედ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში. ალბათ შემთხვევითი არ არის ისიც, რომ სიტყვა პრეზიდენტი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს «მას, ვინც წინ ზის». დღესდღეობით, საპრეზიდენტო რესპუბლიკებია: *აშშ, მექსიკა, არგენტინა, ჩილე, აზერბაიჯანი* და ა.შ.

1.5. შერეული – ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა

რაც შეეხება **შერეული** მმართველობის ფორმას, ამ სისტემას ხშირად **ნახევრადსაპრეზიდენტო** რესპუბლიკასაც უწოდებენ. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაში განსხვავებით ჩვეულებრივი საპრეზიდენტო რესპუბლიკისაგან, მთავრობა პასუხისმგებელია არა მარტო პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშეც და პარლამენტსაც, უნდობლობის გამოცხადების გზით, შეუძლია მისი გადაყენება. ამის საპირისპიროდ კი პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დაშლის უფლება. შერეული მმართველობის ფორმა შეიცავს, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებს, მაგრამ მას ახასიათებს ისეთი ნიშნებიც, რომლებიც მხოლოდ

მისთვის არის დამახასიათებელი, ინდივიდუალურია და არ ახასიათებს რესპუბლიკის არც ერთ სხვა სახეს. უპირველეს ყოვლისა, აქ, იგულისხმება ორმაგი პასუხისმგებლობა მთავრობისა, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის წინაშე.

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის ინდივიდუალურ ნიშნად შეიძლება, ასევე, ჩაითვალოს ისიც, რომ აღმასრულებელი (სამთავრობო) ხელისუფლება დუალისტური – ორსახოვანია, რადგან მმართველობითი ფუნქციებით რეალურად ორი თანამდებობის პირია აღჭურვილი, პრეზიდენტი და პრემიერ–მინისტრი, რომელთაგანაც უპირატესობა ენიჭება პრეზიდენტს მაგ. საფრანგეთში მთავრობის უფლებამოსილება დამოკიდებულია იმაზე, პრეზიდენტი თავმჯდომარეობს მის სხდომას, თუ პრემიერ-მინისტრი. პირველ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მთავრობის უფლებამოსილება უფრო ფართოა.[6]

ნახევრადსაპრეზიდენტოა სისტემა, რომელშიც ქვეყნის პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში. მმართველობის ამ ფორმის სისტემა სისტემა განსხვავდება საპრეზიდენტო სისტემისგან იმით, რომ აქ არსებობს აღმასრულებელი პრემიერ-მინისტრი, რომელიც გარკვეულწილად პასუხისმგებელია საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე.

მისი სამშობლო საფრანგეთია, რადგან ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა პირველად დაფუძნდა საფრანგეთში 1958 წლის კონსტიტუციით. შუალუდური მოდელი. მმართველობის ამ მოდელში, ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლება დომინანტობს, მაგრამ იგი ორი პირის, პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის ხელშია თავმოყრილი და განაწილებული. ამერიკული სისტემის მსგავსად, პრეზიდენტის ხელისუფლება, საკანონდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ყალიბდება, მაგრამ მის ხელში ძირითადად საგარეო პოლიტიკა და ქვეყნის შიდა პოლიტიკის ზოგადი განსაზღვრის კომპეტენციაა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც პარლამენტის ძალაუფლება სხვა პოლიტიკური პარტიის ხელშია და პრეზიდენტი კი სხვა პარტიის წარმომადგენელია. ამ დროს პრეზიდენტი იძულებული ხდება პრემიერ-მინისტრად საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი დანიშნოს. ამ შემთხვევაში, სუსტდება პრეზიდენტის პრაქტიკული ძალაუფლება და იზრდება პარლამენტის კონტროლი და ძალაუფლება. ეს პროცესი ერთ წელზე მეტ ხანს არ გრძელდება ხოლმე და ხშირად ამ პროცესს ''კოაბიტაციას''[14] უწოდებენ, რაც გულისმობს პრეზიდენტის და პარლამენტის იძულებით თანამშრომლობას და არანებაყოფილობით დამეგობრებას.

ფრანგული **''ჰიბრიდული''** - ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის მოდელი საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში. იგი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ბევრი ქვეყნისთვის, როგორებიცაა: პოლონეთი, ხორვატია, უკრაინა, მოლდოვა, ლიტვა, რუმინეთი და სხვა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებშიც აღნიშნულმა მოდელმა საკუთარი სახე მიიღო. მოცემულ შემთხვევებში, ხშირად პარლამენტი უფრო მეტს და პრეზიდენტი უფრო სუსტ ძალაუფლებას და უფლებამოსილებებს ფლობს, ვიდრე ეს ფრანგულ ორიგინალურ ვერსიაშია. ამიტომაც, გაჩნდა შედარებით ახალი ''ჰიბრიდები'' და სახელწოდებები, როგორებიცაა საპარლამენტო-საპრეზიდენტო და საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობები.

[14] **კოაბიტაცია** - ფრანგ. cohabitation — თანაცხოვრება.

თავი II ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები

(სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა)

„სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის“ ცნების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა და მისი ორგანიზება. დაყოფაში მოიაზრება სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილები ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები და მათ შორის ურთიერთობა. ჩვეულებრივ, სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია ნაწილებად, რომელთა ერთობლიობა ქმნის სახელმწიფოს ტერიტორიულ გეოგრაფიას. სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედებს ერთიან სახელმწიფო ხელისუფლება და ასევე შესაბამისი ტერიტორიული ხელისუფლება - ადგილობრივი თვითმმართველობა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა და ა.შ. ასეთ თვითეულ ტერიტორიულ ერთეულს გააჩნია თვითმმართველობის მაღალი დონე და სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნს წარმოადგენს. არსებობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოებრიობის რაიმე მსგავსი ნიშანი, შესაბამისად ყველა ერთეულს გააჩნია თანაბარი სტატუსი და მათი თვითმმართველი ორგანოები წარმოადგენენ მთელი სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთ სტრუქტურულ ნაწილს.

აღნიშნულის შესაბამისად, თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის თეორიაში გამოყოფენ ტერიტორიულ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ორ ძირითად ფორმას: უნიტარულსა და ფედერაციულს. ამ ორ ფორმას შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ უნიტარული სახელმწიფო არის დაყოფილი, მაგრამ ეს არის

მხოლოდ ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა, ხოლო ფედერაციული სახელმწიფოს ერთეულები წარმოადგენენ სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს სუვერენიტეტის გარეშე.

2.1. **უნიტარული მოწყობის სახელმწიფო**

ტერმინი „**უნიტარული**“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „უნუს“, რაც ქართულად „ერთს“, ერთიანს ნიშნავს. აქედან გამომდინარე უნიტარული სახელმწიფო ერთიანი სახელმწიფოა, სადაც ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება და რომელიც ერთადერთი უმაღლესი ხელისუფლებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით. უნიტარული მოწყობის სახელმწიფოში, შემადგენელ ნაწილებს - ტერიტორიულ ერთეულებს საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები არ გააჩნიათ. ქვეყანაში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია და კანონმდებლობა, პოლიტიკური ხელისუფლების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, ცენტრალური ერთეულების ადგილობრივი ორგანოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საერთო სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ რაიმე პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თითოეული ერთეული, როგორც წესი, ერთნაირი სამართლებრივი სტატუსით სარგებლობს და გააჩნია ცენტრალური ორგანოებისადმი თანასწორი დამოკიდებულება, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მათი ფართო ხასიათის უფლებამოსილების, სამეურნეო, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში არსებობის აუცილებლობას.

უნიტარულ სახელმწიფოში მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება სახელმწიფოს ერთიანი მოქალაქეობით. ასეთ სახელმწიფოში, როგორც უკვე მივუთითეთ, მოქმედებს როგორც სამართლის, ისე სასამართლო ხელისუფლების ერთიანი სისტემა.

შესაბამისად, ქვეყნის კანონმდებლობის საერთო ბაზას წარმოადგენს ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით საერთო მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების გამოყენებით ხდება.

უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისგან, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს პროვინციებად, შტატებად, გუბერნიებად, რაიონებად, პრეფექტურებად და სხვა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, უნიტარული სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთეულების დონეების მიხედვით. ადმინისტრაციული ერთეულების საფეხურების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის ტერიტორიის სიდიდესა და მოსახლეობის რაოდენობაზე, მაგრამ ეს მომენტი არ არის განმსაზღვრელი ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის და შეიძლება შედარებით დიდი ტერიტორიისა და მეტი რაოდენობის მოსახლეობის მქონე ქვეყანას უფრო ნაკლები რაოდენობა, უფრო ნაკლებ საფეხუროვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დონეები გააჩნდეს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთს გააჩნია ტერიტორიული დაყოფის მხოლოდ სამი დონე, ხოლო საფრანგეთს - ოთხი. მსოფლიოს კონსტიტუციური პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როცა ქვეყანას საერთოდ არ გააჩნია ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დაყოფა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მალტა.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის ორგანიზებული საჯარო ხელისუფლება, განასხვავებენ **დეცენტრალიზებულ** და **ცენტრალიზებულ** უნიტარულ სახელმწიფოებს.

დეცენტრალიზებულს უწოდებენ ისეთ უნიტარულ ხელმწიფოს, რომლის ადგილობრივი ორგანოები ყალიბდება ცენტრალური ორგანოებისაგან დამოუკიდებლად. დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო ფედერალიზმთან ახლოს მდგომი ფორმაა. დეცენტრალიზმის დროს უფლებამოსილება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის განაწილებულია კონსტიტუციით. ამის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ იტალიის ტერიტორიული მოწყობა. იტალიის კონსტიტუციით უმაღლეს ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ საკუთარი კანონმდებლობა. კონსტიტუციის

შესაბამისად, ოლქებს გააჩნიათ სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს ოლქის შინაგან ორგანიზაციას. ამ სტატუსს ღებულობს თავად ოლქი და ამტკიცებს რესპუბლიკური კანონი. კონსტიტუციით ოლქები სარგებლობენ ფინანსური ავტონომიით. ოლქში საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებს ოლქის საბჭო, რომელიც არჩევითი ორგანოა. აღმასრულებელ სფეროში მოქმედებს კომისარი, რომელიც ხელმძღვანელობს ოლქში სახელმწიფოს ადმინისტრაციას.

არსებობს უნიტარული სახელმწიფოები, სადაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გვერდით მაღალი ავტონომიის მქონე მსხვილი ტერიტორიული წარმონაქმნებია განლაგებული. ამის ყველაზე კარგი მაგალითებია იტალია და ესპანეთი. ესპანეთში 17 ავტონომიური გაერთიანებაა, რომელთა შორის ოთხს (ბასკეთი, კატალონია, გალისია, ანდალუსია) განსაკუთრებული უფლებები გააჩნიათ. ისინი თვითონ ირჩევენ საკუთარ ხელისუფლებებს და ხშირად საკუთარი ბიუჯეტის დადგენაშიც დამოუკიდებელნი არიან. იტალიაში 5 ასეთი განსაკუთრებული ავტონომიის მქონე რეგიონია. ამგვარი ვითარების გამო, ასეთ უნიტარულ სახელმწიფოებს, უნიტარულ-დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებს უწოდებენ.

- *ცენტრალიზებულ უნიტარულ* სახელმწიფოში გამორიცხულია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ავტონომიურობა. ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში არ არსებობს ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის უფლების მქონე არჩევითი ორგანოები. მათი ფუნქციები ხორციელდება ცენტრიდან დანიშნული პირის მიერ. ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში ადგილობრივი ორგანოების დაქვემდებარება ცენტრისადმი ხორციელდება ცენტრის მიერ დანიშნული თანამდებობის პირის საშუალებით (ინდონეზია, ყაზახეთი, უზბეკეთი და სხვ.). ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულთა ყველა რგოლში მოქმედებს მმართველობის ვერტიკალურად დანიშვნის სისტემა.

ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოსათვის დამახიათებელია:

- ✓ ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელს ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ემორჩილება თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები. მაგ., ფინეთში ადგილობრივ თვითმმართველობას განაგებს გუბერნატორი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი.
- ✓ სახელმწიფოში არსებობს ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს.
- ✓ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს ერთი კონსტიტუცია,ერთიანი საკანონმდებლო სისტემა, ერთი მოქალაქეობა და ერთი საგადასახადო სისტემა;
- ✓ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს არ აქვთ საკუთარი საკანონმდებლო ორგანო, საგარეო ურთიერთობის ორგანოები და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს აწესრიგებს ცენტრალური ორგანოები.

2.2. ფედერაციული მოწყობის სახელმწიფო

ტერმინი ფედერაცია ლათინური სიტყვიდან „fedus“ მომდინარეობს ქართულად „კავშირს“ „გაერთიანებას“ ნიშნავს. “ფედერაციისა” და “ ფედერაციული სახელმწიფოს” ტერმინების გარდა, რომელსაც გამოიყენებს რიგი სახელმწიფოების (გერმანია, არგენტინა) კონსტიტუციები, არსებობს აგრეთვე, ამ ტერმინების იდენტური ტერმინები – “კავშირი” (ინდოეთი), “შეერთებული შტატები”(აშშ, მექსიკა), “ფედერაციული რესპუბლიკა” (ბრაზილია), “კონფედერაცია” (კანადა, შვეიცარია) და სხვა, რომლებიც ასევე ფედერაციული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ თავისებურებებს აღნიშნავენ.

ფედერაციული სახელმწიფო რთული მოწყობისაა და სახელმწიფოებრიობის ნიშნის მქონე წარმონაქმნებისგან – ფედერაციის სუბიექტებისაგან შედგება. ფედერაციის სუბიექტები შეიძლება იწოდებოდეს შტატებად, ემირატებად, პროვინციებად, კანტონებად და ა.შ. ფედერაციის სუბიექტებს აქვთ სახელმწიფოებრიობის ძირითადი ნიშნები: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მიუხედავად ამისა,

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ეს სუბიექტები არ არიან სახელმწიფოები, რადგანაც მათ არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის ისეთი უმთავრესი და აუცილებელი ნიშან-თვისება, როგორიცაა სუვერენიტეტი. შესაბამასად, ფედერაციული სახელმწიფო მკაცრად ერთიანი სახელმწიფოა.

ფედერაციულ სახელმწიფოში, როგორც ერთიან სახელმწიფოში, ძალზე მნიშვნელოვანია ტერიტორიული ერთეულების ინტეგრაციის[15] ფუნქცია, სწორედ ამ ფუნქციის შესაბამისად ფედერაციაში საერთო-სახელმწიფოებრივი კომპეტენციები არსებობს, რომლებიც ფედერალური ორგანოების ერთიანი სისტემის მეშვეობით ხორციელდება. ფედერალური სახელმწიფო იცნობს ორმაგ მოქალაქეობას: ფედერაციის სუბიექტის მოქალაქეობას და ერთიანი ფედერაციის მოქალაქეობას, რომელიც თითოეული მოქალაქის საბოლოო სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს. აქვს ერთიანი ეკონომიკური და თავდაცვითი სივრცე, ერთიანი ფულადი, საფინანსო და საკრედიტო სისტემა - ერთიანი შეარაღებული ძალები და სხვა.

ფედერაციის ზემოთ აღნიშნული ზოგადი ფუნქციების მიუხედავად კონკრეტული ფედერაციული სახელმწიფოს ფუნქცია და ორიგინალობა დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რა მიზნებითაც იგი იქმნება და იმ ამოცანებზე, რომლებსაც იგი ასრულებს. მაგალითად, აშშ ფედერაციის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფა, გერმანიაში, ფედერაციას უნდა გაეერთიანებია განცალკევებული გერმანული სახელმწიფოები, შვეიცარიაში ფედერალიზმი შემოიღეს იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერთ სახელმწიფოში განსხვავებული რასის, ენის, რელიგიისა და პოლიტიკური ტრადიციების მქონე ერთეულების თანაცხოვრება ისე, რომ არ დარღვეულიყო ინდივიდუალურობა, ავსტრიაში მისი მიზანი ეროვნული საკითხების მოგვარება იყო, ბელგიაში ფედერალიზმი შემოღებული იქნა ვალონელებსა და ფლამინდიელებს შორის ეროვნული წინააღმდეგობების დაძლევისა და ბელგიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების მიზნით და სხვა.

[15] **ინტეგრაცია** - L. integratio **შევსება, აღდგენა,** integer **მთლიანი.** ნაწილებისელემენტების ერთ მთლიანობაში გაერთიანება.

თანამედროვე მსოფლიოში ოცდაოთხი ფედერაციული სახელმწიფოა, რომლებშიც დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. ფედერაციული მოწყობა აქვთ როგორც დიდ (ინდოეთი, რუსეთი, აშშ), ასევე საშუალო (ავსტრია, გერმანია, ბელგია) და ჯუჯა (სენტ-კრისტოფერისა და ნევისის ფედერაცია 50 ათასი მცხოვრებით) სახელმწიფოებს.

მმართველობის მიხედვით ფედერაციულ სახელმწიფოთა უმრავლესობა რესპუბლიკური მართვა-გამგეობისაა. მონარქიულია მხოლოდ ავსტრალია, კანადა (ნომინალური16 მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი), ბელგია, არაბთა გაერთიანებული საამიროები და მალაიზია. სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა ყველაზე ადრე დამკვიდრდა შვეიცარიაში (1291წ.), ამიტომ იგი უძველესი ფედერაციული სახელმწიფოა. შემდეგი ფედერაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცხადდა 1777 წელს. ყველაზე გვიან ფედერაციული წყობილება ჩამოყალიბდა ბელგიასა (1993წ.) და ეთიოპიაში (1994წ.). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფედერაციულ სახელმწიფოთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა.

ფედერაციული სახელმწიფოებისათვის და მისი ერთიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ფედერაციის სუბიექტებისათვის სეცესიის17 უფლების არქონა, რაც გულისხმობს ფედერაციული კავშირიდან თავისუფალი, უპირობო გასვლის უფლების არ არსებობას. აღსანიშნავია, რომ ფედერაციის სუბიექტებისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები შეიძლება ჰქონდეთ რეგიონებსაც (მაგალითად, დროშა, სახელწოდება, აგრეთვე, პარლამენტი აქვთ ესპანეთის ავტონომიურ ერთეულებს). მაგრამ ფედერაციის სუბიექტებისათვის დამახასიათებელი ყველა ზემოაღნიშნული უფლებამოსილება რეგიონებს არ გააჩნიათ.

ფედერაციულ სახელმწიფოში ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნია ტერიტორიული ერთეულების პოლიტიკური ავტონომიის ცალმხრივად გაუქმების ან შეზღუდვის უფლებამოსილება, მაშინ როცა რეგიონების სტატუსი რეგიონალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში არ მოიცავს რეგიონების უფლებამოსილებების

---

[16] **ნომინალური** – *L.* **Nominalis –** "სახელობითი" რასაც ან ვისაც მხოლოდ სახელი ჰქვია, მაგრამ არ ასრულებს თავის დანიშნულებას, მოვალეობას.

[17] **სეცესია** – *L.* **secessio განზე გადგომა, წასვლა** 1. გამოყოფა, ჩამოცილება, წასვლა, განდგომილობა;
2. სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლა.

ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიებს (ამ მხრივ, გამონაკლისია ესპანეთი).

ფედერაციული სახელმწიფო შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელმწიფოთა გაერთიანებით ანუ სახელშეკრულებო გზით, (აშშ), ასევე ქვეყნის კონსტიტუციის თუ სპეციალური კანონის საფუძველზე (ინდოეთი). შესაძლებელია ფედერაციული სახელმწიფო შეიქმნას როგორც ერთი, ისე მეორე გზით (რუსეთი).

ფედერალური ხელისუფლების ორგანიზების ნიშნების შესაბამისად გამოიყოფა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფედერაციები. ეროვნულ-სახელმწიფოებრივია ფედერაცია, სადაც მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალ ერებს საკუთარი სუვერენული უფლებები გადაცემული აქვთ სახელმწიფოსთვის. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფედერაციის საფუძვლებია ეკონომიკური, გეოგრაფიული, კულტურული, ენობრივი ფაქტორები.

ფედერაცია შეიძლება იყოს **სიმეტრიული** და **ასიმეტრიული**.

- ✓ ***სიმეტრიულს*** **(ჰომოგენურს)** უწოდებენ ისეთ ფედერაციებს, რომელთა სუბიექტებს თანაბარი და ერთნაირი უფლებამოსილება აქვთ. აბსოლუტურად სიმეტრიული ფედერაციები არ არსებობს. ავსტრია, მექსიკა, ბრაზილია უახლოვდებიან სიმეტრიული ფედერაციის პრინციპებს.
- ✓ ***ასიმეტრიულია*** **(დიფერენცირებულია)** ფედერაციია, რომლის სუბიექტბს არათანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა უჭირავთ ფედერაციის შემადგენლობაში. ასიმეტრიულ ფედერაციას განეკუთვნება რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, რომელშიც რამდენიმე შტატს უფრო ფართო უფლებები აქვს, ვიდრე სხვა შტატებს. ასევე აშშ–ის შემადგენლობაში 50 შტატთან ერთად შედის კოლუმბიის ფედერალური ოლქი და თავისუფლად მიერთებული ასოცირებული სახელმწიფო პუერტო-რიკო, რომლებსაც არ გააჩნიათ შტატის სტატუსი.

ფედერაციულ სახელმწიფოს თვალსაჩინო წარმომადგენელია ამერიკის შეერთებული შტატები. იგი დაყოფილია 50 ტერიტორიულ ერთეულად (შტატად), რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს, თუმცა სუვერენიტეტის გარეშე. მათში

ერთიან სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად, მოქმედებს შესაბამისი ერთეულის ხელისუფლებაც. მათ აქვთ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, სასამართლო და ა.შ.

ფედერაციულ სახელმწიფოში საერთო ფედერალურ დონეზე სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ორ-პალატიანი საკავშირო წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის ერთ-ერთი, კერძოდ, ზედა პალატა, უმაღლეს წარმომადგენლობაში სწორედ ფედერაციის სუბიექტების ინტერესებს გამოხატავს.

თავი III პოლიტიკური რეჟიმები

გასული საუკუნის 60-იან წლებში სამეცნიერო სიტყვა ხმარებაში შემოვიდა "პოლიტიკური რეჟიმის" ცნება. ამ ცნების ქვეშ მოიაზრება იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფო ხელისუფლებას განახორციელებენ. ამასთან, პოლიტიკური რეჟიმი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი, ზოგადად საზოგადოებრივი მიზნების განხორციელების ორგანიზაციულ საშუალებას. ამ ტერმინის გვერდით არსებობს "სახელმწიფოს რეჟიმის" ტერმინიც, რომლითაც აღნიშნავენ სახელმწიფო სტრუქტურების მართვის ფორმებს. პოლიტიკური რეჟიმი მოიცავს სახელმწიფოს რეჟიმის ცნებას, რაც აძლევს მას უფრო ფართო ცნების არეალს. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციაა და იგი ქმნის პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში.

XX საუკუნის 50–60-იან წლებამდე ხელისუფლებითი ურთიერთობების აღწერისას, გამოიყენებოდა ცნებები: „მმართველობის ტიპი“ ან „მმართველობის სისტემა“. პოლიტიკა დაიყვანებოდა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაზე. გარკვეულ ეტაპამდე მსგავსი ახსნა რეალობას ასახავდა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ, დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებამ თავისი უფლებებითა და თავისუფლებებით, შექმნა ახალი რეალობა – მოქალაქე არა მარტო ემორჩილებოდა სახელმწიფოს, არამედ ზეგავლენასაც ახდენდა მასზე, რისთვისაც ქმნიდა პოლიტიკურ ორგანიზაციებს (პარტიებს, მოძრაობებს და ა.შ)

ხელისუფლება აღარ იყო სახელმწიფოს მონოპოლია, ხოლო ხელისუფლებითმა ურთიერთობებმა უფრო რთული ხასიათი შეიძინა – მასში უკვე მონაწილეობდნენ არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. [7]

პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგიზაციის პრობლემა რთული და მრავალი ასპექტის შემცველია, რომელიც მოიცავს კლასიფიკაციის სხვადსხვა საფუძვლებს. პოლიტიკური სისტემა შეიძლება განისაზღვროს საზოგადოების სოციალური წყობით, მმართველობის ფორმით – საპარლამენტო, საპრეზიდენტო, სახელმწიფოს ტიპით – მონარქია, რესპუბლიკა, პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით – დემოკრატიული, ტოტალიტარული, ავტორიტარული, სოციალურპოლიტიკური ვითარებით – სტაბილური და არასტაბილური, ზომიერი ან კონფლიქტური, გარემოსთან ურთიერთობის ხასიათით – ღია, დახურული, პოლიტიკური კულტურისა და ტრადიციების მიხედვით და სხვა.

პოლიტიკური სისტემის კატეგორიას რიგი უპირატესობებისა აქვს, „სახელმწიფოსა“ და „მართვის“ კატეგორიებთან შედარებით, კერძოდ ის თავისუფალია „სახელმწიფოს“ თანმხლები სამართლებრივი მნიშვნელობებისაგან, შესაძლებლობას იძლევა, ღრმად შევისწავლოთ არაფორმალური სტრუქტურები, რადგანაც „მართვა“ ხშირად იგივდება ფორმალურ ინსტიტუტებთან. პოლიტიკური სისტემის კატეგორიის უპრობლემოდ გამოყენება შეიძლება არქაული[18] საზოგადოებების მიმართ, სადაც პოლიტიკა ხორციელდება ოჯახურ, ტომობრივ და სხვა სპეციფიკურ წარმონაქმნებში.

[18] არქაული – *Gk.* Archaios – ძველი, ძველებური

სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა სახელმწიფოში ხელისუფლების ფორმალურ ორგანიზაციას წარმოადგენს, პოლიტიკური რეჟიმი კი სახელმწიფოს ორგანოებსა და პოლიტიკურ დაწესებულებებს შორის სახელმწიფო ხელისუფლების რეალური თანაფარდობისა და გადანაწილების გამომხატველი კატეგორიაა, იგი სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციური მახასიათებელია, რის გამოც, პოლიტიკური რეჟიმის ფორმა, შეიძლება სახელმწიფოს შინაგან ფორმად მივიჩნიოთ, ხოლო მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმები გარეგან ფორმად.

პოლიტიკური რეჟიმი დამოკიდებულია არა სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე - მონარქიაა თუ რესპუბლიკა, არამედ ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და ხერხებზე, როგორ და რა მეთოდებით ახორციელებს იგი თავის ძალაუფლებას.

სისტემური ანალიზის თანახმად, ნებისმიერ სისტემას, მათ შორის პოლიტიკურსაც, აქვს შემდეგი მახასიათებლები: სისტემა მარავალი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც ქმნის ერთს, მთლიანს, ასევ სისტემას აქვს საზღვრები და ამ ურთიერთდამოკიდებულების შედეგად, როცა ერთ ნაწილშია ცვლილება შესაბამისად სხვა ნაწილებშიც ხდება ცვლილებები.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური მიდგომის ფუძემდებელია დევიდ ისთონი19 მის ნაშრომებში – „პოლიტიკური სისტემა“ (1953) და „სისტემური ანალიზი პოლიტიკური ცხოვრებისათვის“ (1965) – პოლიტიკური სისტემა წარმოდგენილია ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების მექანიზმის სახით, რომლის დანიშნულებაცაა საზოგადოების ხელთ არსებული რესურსებისა და ფასეულობების განაწილება. ამასთან, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება უნდა არწმუნებდეს მოქალაქეებს განაწილების არსებული სისტემის სამართლიანობაში.

პოლიტიკური სისტემა – ესაა მეტად განსაკუთრებული რეალობაა, რომელიც თვისებრივად განსხვავდება საზოგადოების სხვა სისტემებისგან და ვითარდება საკუთარი,

[19] **დევიდ ისთონი** – (1917– 2014) ამერიკელი პოლიტოლოგი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი, პოლიტიკური სისტემების მეცნიერების ფუძემდებელი

განსხვავებული ლოგიკის შესაბამისად. პოლიტიკური სისტემის მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოებაში, მიიღება ყველასთვის სავალდებულო გადაწყვეტილებები.

აქედან გამომდინარე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება, **საზოგადოების პოლიტიკური სისტემა – ესაა სამართლისა და სხვა სოციალური ნორმების საფუძველზე მოწესრიგებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება. პოლიტიკური სისტემა ასოცირდება საზოგადოებაში დაკანონებულ ფიზიკურ იძულებასთან. ყველა სისტემაში ხაზგასმულია პოლიტიკური სისტემის კანონიერი უფლება - დასაჯოს, აიძულოს და დაიმორჩილოს**.[7]

პოლიტიკური რეჟიმები მრავალგვარია, ეს სიმრავლე გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოს განვითარების თითოეულ ისტორიულ ეტაპს თავისი პოლიტიკური რეჟიმი შეესაბამება. ერთგვარი ისტორიული ტიპის სახელმწიფოების შიგნით პოლიტიკური რეჟიმები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყველაზე უფრო ზოგადი კლასიფიკაციით ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვაოთ ***ანტიდემოკრატიული*** და ***დემოკრატიული*** პოლიტიკური რეჟიმები.

3.1. ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი

პოლიტიკური რეჟიმების ძირითადი კლასიფიკაცია იყოფა როგორც აღვნიშნეთ ორ ნაწილად. ანტიდემოკრატიული რეჟიმები ისტორიულად უფრო დიდხანს ხორციელდებოდა ვიდრე დემოკრატიული. აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მსოფლიო საზოგადოებამ სამწუხაროდ, გვიან მოახერხა აბსოლუტური ერთპიროვნული მმართველობების დამარცხება. ან დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმებით გვევლინება და მას მე–20 საუკუნის შუა წლებში ყველაზე უფრო რეაქტიულ ფორმაში ვხვდებით – ფაშიზმი.

ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი სამართლით შეუზღუდავი ხელისუფლების პოლიტიკური რეჟიმია, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უგულებელყოფას და ერთი პიროვნებისა თუ პიროვნებათა ჯგუფის მიერ დიქტატურის დამყარებას. ანტიდემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმს მიეკუთვნება ***დესპოტური, ტირანული, ტოტალიტარული, ფაშისტური, ავტორიტარული***

- **დესპოტური რეჟიმი** გულისხმობს მმართველობის სრულ თვითნებობას სახელმწიფოს მართვაში, ქვეშევრდომთა უსიტყვო მორჩილებას ხელისუფალისადმი. ეს იმ ტიპის პოლიტიკური რეჟიმია, როდესაც ერთ ადამიანს უჭირავს შეუზღუდავი ძალაუფლება. მისი სინონიმი არის **დიქტატურა**. თეორიული აზრის განვითარების კვალდაკვალ, თანადათანობით შეიცვალა ტერმინის მნიშვნელობაც.

პირველად არისტოტელემ გამიჯნა ერთმანეთისაგან **ბერძნული ტირანია** და **სპარსული დესპოტია.** ტირანია მთლიანად ძალადობას ემყარება და ხანმოკლეა, მაშინ როდესაც აღმოსავლური დესპოტია ე. წ „სტაბილური რეჟიმია“ იმ ხალხისა, ვინც არც იცის სხვაგვარი მმართველობის წესი. შესაბამისად, აღმოსავლური დესპოტია ემყარება არა ძალადობას, არამედ ხალხის თანხმობას და ტირანიისგაან განსხვავებით, ლეგიტიმურია, დესპოტიზმი, როგორც სპეციფიკურად აღმოსავლური მმართველობის სახე, მონტესკიეს[20] მიერ გვიან კიდევ უფრო გაიმიჯნა დასავლური აბსოლუტისტური რეჟიმებისაგან. აქ მონარქები, როგორი რეპრესიული ხასიათიც არ უნდა ჰქონოდა მათ მმართველობას, ყოველთვის მართავდნენ კანონის შესაბამისად, თუნდაც, საკუთარ ნებას დაქვემდებარებული, მაგრამ მაინც არსებული. თანამედროვე თეორიაში ტერმინი დესპოტიზმი გამოიყენება გადაჭარბებული ძალაუფლების აღმნიშვნელად.

- **ტირანული რეჟიმი** არსით დესპოტურია, იმ განსხვავებით რომ იგი ხშირად ძალადობისა და დაპყრობის გზით მყარდება და ასევე ხანმოკლეა და დესპოტისაგან განსხვავებით არ ემყარება „ხალხის ნებას“

[20] **შარლ ლუი დე მონტესკიე** – ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი, ავტორი ნაშრომი „კანონთა გონი“ და იდეური ფუძემდებელი ხელისუფლების დანაწილების პრინციპებისა

- **დიქტატურა** (ლათ. dictatura) - ავტოკრატიული მმართველობის[21] პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროს ხელისუფლებას მართავს დიქტატორი – ადამიანი, რომლის ძალაუფლება არ არის შეზღუდული კონსტიტუციით ან რაიმე კანონმდებლობით.

ძველ რომში დიქტატურა იყო დროებითი პოლიტიკური რეჟიმი, კერძოდ საგანგებო სიტუაციის დროს შეუზღუდავი პოლიტიკური ძალაუფლება გადაეცემოდა ერთ ადამიანს – დიქტატორს.

- ***ტოტალიტარული რეჟიმი*** - ანტიდემოკრატიული პოლიტიკური წყობა, რეჟიმი, რომლის დროსაც სახელმწიფო სრულად არის გაბატონებული საზოგადოებასა და პიროვნებაზე. იგი მიისწრაფის საზოგადოების ყველა სფეროზე კონტროლის დამყარებისაკენ, სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გაუქმებულია პლურალიზმის (განსხვავებული აზრების, მსოფლმხედველობების, ცხოვრების წესის, ინტერესების თანაარსებობა) პრინციპი. სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობები ძალისმიერი მეთოდებით რეგულირდება. პოლიტიკური ხელისუფლება მოსახლეობის საყოველთაო ინტერესებზე პრეტენზიას აცხადებს.

ტოტალიტარულია სახელმწიფო, როდესაც მმართველობის სისტემა კონსტიტუციურად არ არის შეზღუდული, ანდა არ არის შეკავებული საზოგადოების სხვა ძალების მიერ (როგორიცაა: ეკლესია, პროფკავშირები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და ა.შ.). ტოტალიტარული რეჟიმის დროს სახელმწიფოში ხელისუფლება არ არის ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე პერიოდული, ფარული და სამართლიანი არჩევნებით. ამ რეჟიმის პირობებში სახელმწიფო ორგანოების მთელი საქმიანობა მიმართულია "ბელადის" მითითებების უსიტყვო შესრულებაზე. პიროვნება, როგორც ასეთი, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში იგნორირებულია. მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობა ნულის ტოლია. ასეთი რეჟიმი დამახასიათებელი იყო ფაშისტური სახელმწიფოებისათვის.

[21] **ავტოკრატია** – (ბერძნ. αυτός, თვით და ბერძნ. κρατέω, მართვა) — სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომლის დროს მთელი ძალაუფლება მხოლოდ ერთ ადამიანს უჭირავს

ტოტალიტარიზმის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია:

- ✓ პოლიტიკურ საქმიანობაზე მონოპოლიური უფლება მხოლოდ ერთ პარტიას აქვს.
- ✓ ეს პარტია აღჭურვილია იდეოლოგით, რომელსაც ეს რეჟიმი ანიჭებს ერთადერთი ავტორიტეტის, ხოლო შემდგომში კი ოფიციალური სახელმწიფოებრივი ჭეშმარიტების სტატუსს.
- ✓ ოფიციალური ჭეშმარიტების გასავრცელებლად სახელმწიფო განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს, როგორც დარწმუნების საშუალებებზე, ისე ძალადობრივ ზემოქმედებაზეც. სახელმწიფო აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას: რადიოს, ტელევიზიას, პრესას.
- ✓ რამდენადაც სახელმწიფო თავისი იდეოლოგიისაგან განუყოფელია, ამდენად საქმიანობის თითქმის ყველა სახე იდეოლოგიზირებულია. ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობის სახეთა უმრავლესობა სახელმწიფოს ექვემდებარება და მისი ნაწილი ხდება.
- ✓ იმის გამო, რომ ნებისმიერი საქმიანობა სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას დაექვემდებარა, ამდენად ყოველი გადაცდომა სამეურნეო ან პროფესიონალურ სფეროში „იდეოლოგიურ ცოდვად“ ითვლება. საბოლოო რეზულტატი კი არის ცალკეული ადამიანის ყველა შესაძლებელ გადაცდომათა იდეოლოგიზირება, პოლიტიზირება და როგორც დასკვნითი აკორდი, მას მოყვება ერთდროულად პოლიტიკური და იდეოლოგიური ტერორიც.

ფრანგი სოციოლოგი რაიმონ არონი ტოტალიტარიზმის განსაზღვრებისას აკეთებს აქცენტს პარტიის განსაკუთრებული მდგომარეობის სიძლიერეზე, ან სამეურნეო საქმიანობის გასახელმწიფოებრიობის, ასევე იდეოლოგიური ტერორის შესახებ, მაგრამ მიუთითებს, რომ თავად მოვლენა დასრულებულ სახეს იღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ეს ნიშანი გაერთიანებული და მთლიანად გამოთქმულია – **პარტიის სიძლიერე, განსახელმწიფოებრიობა და იდეოლოგიური ტერორი.**

- ***ფაშისტური რეჟიმი*** ტოტალიტარული რეჟიმის ნაირსახეობაა, რომლის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი იდეოლოგია ეფუძნება რასიზმს. ფაშისტური სახელმწიფო ყველა საშუალებებითა და მეთოდებით ცდილობს უზრუნველყოს ერთი რასის იურიდიული და ფაქტობრივი ბატონობა სხვა რასებზე.

✓ ***ავტორიტარული რეჟიმი*** ხასიათდება სახელმწიფო ხელისუფლების მონოპოლიით და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე კონტროლით, მაგრამ ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით იგი არ ცდილობს პიროვნებებზე სრულ ბატონობას. ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი ერთგვარი შუალედური რეჟიმია ანტიდემოკრატიულ და დემოკრატიულ რეჟიმებს შორის. მისი ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ იგი არ ატარებს ტოტალიტარულ ხასიათს, ანუ არ ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სახელმწიფოს კონტროლი. არ არის ყველასათვის სავალდებულო ერთიანი იდეოლოგია. ავტორიტარული რეჟიმი ხშირად თავს მაშინ იჩენს, როცა ხელისუფლება ცდილობს ძირეული რეფორმების გატარებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში (ესპანეთი, ჩილე). მიუხედავად ამისა, იგი დემოკრატიის ანტიპოდია, ის არ ცნობს ხალხს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს წყაროს.

ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებში სჭარბობს იძულების მეთოდები, თუმცა შეინიშნება მოჩვენებითი ლიბერალური ღირებულებების არსებობაც. ქვეყანაში მოქმედებს წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგრამ მათი არჩევნები ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან პოლიტიკური ოპოზიციის საქმიანობა ფაქტობრივად შეწყვეტილია.

ამრიგად, ავტორიტარიზმისთვის დამახასიათებელია:

✓ ავტოკრატიულობა

✓ ძალაუფლების შეუზღუდველობა

✓ რეალურ თუ პოტენციურ ძალაზე დაყრდნობა, რათა აიძულოს მოქალაქეების მორჩილება

✓ ხელისუფლებისა და პოლიტიკის მონოპოლიზაცია

- ✓ უარი საზოგადოების ტოტალურ კონტროლზე, ჩაურევლობა ეკონომიკასა და სხვა არაპოლიტიკურ სფეროებში.
- ✓ პოლიტიკური ელიტის გაწვევა ანუ რეკრუტირება[22] არამედ კოოპტაციის[23] ანუ ზემოდან დანიშვნის გზით და არა კონკურენციის მეთოდით.

ავტორიტარიზმის ძლიერი მხარეებია:

- ✓ პოლიტიკური სტაბილურობისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის უნარი
- ✓ გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივი რესურსების მობილიზების უნარი
- ✓ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგობის გადალახვის უნარი

ამ მხარეების გამო ის შეიძლება საკმაოდ ეფექტური საშუალება აღმოჩნდეს რადიკალური რეფორმების გასატარებლად. ავტორიტარიზმის სუსტი მხარეებია:

- ✓ პოლიტიკის სრული დამოკიდებულება სახელმწიფოს მეთაურის ან უმაღლეს ხელისუფალთა ჯგუფის პრინციპზე
- ✓ პოლიტიკური ავანტიურისა და თვითნებობის შეუზღუდაობა
- ✓ საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაციის[24] (გამოთქმის) ინსტიტუტთა შეზღუდულობა და სხვა.

აქედან გამომდინარე შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა ავტორიტარიზმი გარკვეულწილად შუალედური რგოლია ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის, თუ რა მიმართებით წავა იგი დიდად არის დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერესა და სისუსტეზე.

---

[22] **რეკრუტორება**- to recruit (ინგლ.) აყვანა(ახალი თანამშრომლებისა); გადაბირება; მოზიდვა(ამა თუ იმ საქმის მოხალისეებისა); ჯარში გაწვევა.

[23] **კოოპტაცია**- *L.* **cooptatio**
"დამატებითი არჩევა"
რაიმე არჩევითი ორგანოს შევსება ახალი წევრებით ამომრჩეველთა დაუკითხავად.

[24] **არტიკულაცია** *L.* **articulatio**
სამეტყველო ორგანოების (ტუჩების, ენის, რბილი სასის, ხმოვანი იოგების) მოქმედება ან მდგომარეობა ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას.

3.2. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი

დემოკრატიული რეჟიმი დემოკრატიულს უწოდებენ ისეთ პოლიტიკურ - სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ხალხს მიიჩნევს ხელისუფლების წყაროდ, სუბიექტად და მიზნად. დემოკრატია გულისხმობს ხელისუფლების მოქმედებას ხალხის სახელით ხალხისთვის. დემოკრატიული მმართველობის ნიშნებია:

- ხალხის აღიარება ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ.

- მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, უპირველესად, პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის თანაბრად.

- სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოების აუცილებელი მონაწილეობა.

- ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების რეალური არსებობა და ფუნქციობა.

- სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ხასიათი.

- ხელისუფლებაზე მოსახლეობის უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა.

- ანგარიშვალდებულება, რომელიც მოსახლეობის წინაშე ხელისუფლებას აკისრია.

- პიროვნების დაცულობა ყოველგვარი უკანონობისა და თვითნებობისაგან, ყველა პიროვნების მუდმივი დაცვა სახელმწიფოსაგან და სხვა.

საქართველო თანამედროვე დემოკრატიის ქვეყანაა, რასაც ადასტურებს ქვეყნის ძირითადი კანონის – კონსტიტუციის 1 მუხლის მე–2 ნაწილი: „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობის ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“

დემოკრატიის თეორიის სათავეები ძველბერძნული აზროვნებიდან იწყება. სიტყვა დემოკრატიაც ბერძნული წარმოშობისაა და ორი სიტყვისაგან შედგება. **δήμος „დემოს“ ხალხს ნიშნავს, ხოლო κράτος „კრატოს“ ძალაუფლებას.** ე.ი. სიტყვის მნიშვნელობიდან

გამომდინარე, მასში ხალხის ძალაუფლება იგულისხმება. ამასთან, ეს განმარტება სრულად არ ასახავს დემოკრატიის ცნების დღევანდელ ტევადობას მთელი თავისი დილემებით.

დემოკრატიის თეორიამ განვითარების გრძელი და მეტად საინტერესო გზა განვლო. მის შესახებ ჯერ კიდევ პლატონი25, არისტოტელე26, ჰეროდოტე27, მსჯელობდნენ. დემოკრატია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საბერძნეთისა და რომის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავისებურად ესმოდათ და იყენებდნენ მას შუა საუკუნეებში.

დემოკრატიის მეცნიერული, თეორიული კვლევის სუბსტრაქტს მაინც ჯონ ლოკისა28 და ჟან ჟაკ რუსოს29 აზროვნებაში ეძებენ. საინტერესოდ ვითარდებოდა და მდიდრდებოდა დემოკრატიის შინაარსი მათი ინტერპრეტატორებისა და მათ შემდგომ იურიდიულ და ფილოსოფიურ აზროვნებაში. იყო ისეთი პერიოდებიც, როცა დემოკრატიას უფრთხოდნენ მის სამშობლოში - საბერძნეთში, რაც ბერძნებმა გამოხატეს ტერმინში „დემაგოგი“. ასევე, ფრთხილ დამოკიდებულებას უნდა იჩენდნენ დემოკრატიის მიმართ მრავალი საუკუნის შემდეგ შორეულ ამერიკაში.

დღეისათვის სრულიად განსხვავებული პოზიციებიდან მიმდინარეობს დემოკრატიის კვლევა. ყველაზე უფრო განზოგადოებული სახით ეს კვლევა მის ორ მოდელს შეეხება:

- ✓ **დემოკრატიას, როგორც მეთოდს**
- ✓ **დემოკრატიას, როგორც ღირებულებას.**

განასხვავებენ ასევე დემოკრატიის შემსწავლელ ორ ძირითად სკოლას. პირველი დემოკრატიას განიხილავს, როგორც მმართველობის ფორმას, როდესაც დემოკრატიის შინაარსში იგულისხმება ის პროცედურა, რაც ხალხს საშუალებას აძლევს განახორციელოს სახელმწიფო მმართველობა, უზრუნველყოს მისი სრულუფლებიანობა. მეორე სკოლა

---

[25] **პლატონი** - (ბერძ. Πλάτων Plátōn) (ძვ. წ. 427 - 347) - ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, ფილოსოფიური დიალოგების ავტორი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი.

[26] **არისტოტელე** - (ბერძ. Ἀριστοτέλης (ძვ. წ. 384 - ძვ. წ. 322) - ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი და მეცნიერი, მეცნიერ-ენციკლოპედისტი.

[27] **ჰეროტოტე ჰალიკარნასელი** (ძვ. ბერძნ. Ἡρόδοτος Ἁλικαρνᾶσσεύς; დ. დაახლ. ძვ. წ. 484 – გ. დაახლ. ძვ. წ. 425) - ძველი ბერძენი ისტორიკოსი, დასავლეთის კულტურაში საყოველთაოდ მოიაზრება, როგორც **„ისტორიის მამა“.**

[28] **ჯონ ლოკი** - (1632 - 1704) - ინგლისელი მოაზროვნე, რომლის სახელი მჭიდროდაა ასოცირებული განმანათლებლობასთან.

[29] **ჟან -ჟაკ რუსო** - (1712 – 1778) - ფრანგი კომპოზიტორი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი, რომლის ნაშრომებმა და პოლიტიკურმა იდეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საფრანგეთის რევოლუციაში.

დემოკრატიის არსში ხედავს სახელმწიფოს პოლიტიკას. ამ შემთხვევაში იგი დემოკრატიას განსაზღვრავს როგორც შედეგს ხალხის მმართველობის უფლებისა და შესაძლებლობის რეალიზაციას, ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

შესაბამისად, განასხვავებენ დემოკრატიის **მაჟორიტარულ და პლურალისტურ** მოდელებს. პირველი გულისხმობს დემოკრატიის კლასიკურ გაგებას.

მაჟორიტარული მოდელის მიხედვით, დემოკრატიის შინაარსში იგულისხმება ის პრინციპები და წესები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ხალხის მმართველობისას განხორციელდეს საყოველთაობა, ხალხის სრულუფლებიანობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოფს თანასწორობას, გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვს უმრავლესობის ნების გამომჟღავნებას და მისდამი მორჩილებას.

პლურალისტური დემოკრატია უპირატესობას ანიჭებს არა ამომრჩეველთა უმრავლესობას, არამედ აქცენტი გადააქვს ცალკეულ ორგანიზებულ ჯგუფებზე. დემოკრატიის პლურალისტური მოდელი განმარტავს ხალხის მმართველობას, როგორც ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ფუნქციონირებს მოქიშპე დაინტერესებული ჯგუფების მეშვეობით.

დემოკრატია შეიძლება იყოს სახელმწიფო რეჟიმის საზომი მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელიც წარმომადგენლობითი მმართველობის სისტემას ეყრდნობა, სადაც წარმომადგენლობის, ანუ ხელისუფლების წყაროს - ხალხს, შესაძლებლობა აქვს წარმომადგენლობის პერიოდული განახლებისა. ამასთან, პიროვნებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების უფლებები გარანტირებულია კანონის უზენაესობით.

დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმის დამკვიდრებისათვის დემოკრატია, როგორც პრინციპი, უნდა მოქმედებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მაგრამ ეს შეიძლება მივიჩნიოთ საბოლოო მიზნად, რომლის მისაღწევად ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირობებში შეიძლებოდა გამოგვეყო რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება. ესენია:

- ✓ **კანონის უზენაესობა;**
- ✓ **არჩევნების სამართლიანიად განხორციელება;**

- ✓ **პოლიტიკური პლურალიზმი;**

ყოველივე აქედან გამომდინარე ტერმინი დემოკრატია შესაძლებელია რამდენიმე კლასიფიკაციით დავაჯგუფოთ.

დემოკრატიას ოთხი მნიშვნელობით იყენებენ:

- ✓ დემოკრატია, როგორც ხალხის ძალაუფლება, მმართველობა
- ✓ დემოკრატია, როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის წყობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში მისი წევრების თანასწორ მონაწილეობასა და უმრავლესობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე
- ✓ დემოკრატია, როგორც ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალი და მისი შესატყვისი მსოფლმხედველობა
- ✓ დემოკრატია, როგორც სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა ხალხის ძალაუფლების, დემოკრატიული მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად.

გამოიყოფა დემოკრატიის სამი ძირითადი ტიპი:

- ✓ წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია
- ✓ წარმომადგენლობითი ერთპარტიული დემოკრატია
- ✓ ერთობლივი (კოლექტიური) ანუ პირდაპირი დემოკრატია

თანამედროვე დემოკრატიის ხასიათიასა და შეზღუდულობების ყველაზე გავრცელებული წარმოდგენათა სისტემებს განეკუთვნება:

- ✓ ლიბერალური
- ✓ კოლექტივისტური
- ✓ პლურალისტური დემოკრატიები

თითოეული მათგანის საფუძველში ძევს მასების უშუალო მონაწილეობის შეზღუდულობის ხარისხი.

არსებობს ცნება **დემოკრატიული ელიტიზმის,** რომელიც ეკუთვნის ცნობილ სოციოლოგს მაქს ვებერსა და ასევე ცნობილ ეკონომისტს იოსეფ შუმპეტერს, რომლებმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს დემოკრატიული ელიტიზმის ცნება: დემოკრატიულ

ფასეულობათა მთავარი მატარებელი არის არა რიგით მოქალაქეთა მასა, რომელიც ხშირად არაკომპეტენტურია, გაუწონასწორებელია, მიდრეკილია ეგალიტარიზმისაკენ[30], ადვილად ექცევა იდეოლოგიური გავლენის ქვეშ, არამედ ელიტა, რომელსაც აქვს უნარი საზოგადოება მართოს ეფექტურად და დაიცვას ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობები.

ხალხის მასას კი უნდა ჰქონდეს უფლება არჩევნების დახმარებით პერიოდულად გააკონტროლოს ელიტა და გავლენა მოახდინოს მის შემადგენლობაზე. ამ შემთხვევაში დემოკრატია არის ხალხის თანხმობით განხორციელებული ელიტის მმართველობა.

პრულარისტული დემოკრატია ამოდის იქიდან, რომ არა პიროვნება, არა ხალხი, არამედ ჯგუფი არის თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ვინაიდან ინდივიდი ჯგუფის გარეშე, უსიცოცხლო აბსტრაქციაა.

დემოკრატიის დანიშნულებაა სტიმული მისცე მრავალსახეობასა და პლურალიზმს[31] საზოგადოებაში. ყველა მოქალაქეს მისცეს თავისი ინტერესების ღიად გამოთქმის, გაერთიანების, ურთიერთმისაღები კომპრომისების დახმარებით მათი წონასწორობის მოპოვების შესაძლებლობა.

ამგვარად, პლურალისტების აზრით, სხვადასხვა ჯგუფისა და ფრაქციის ინტერესთა შორის კონკურენციის არსებობა დემოკრატიის უაღრესად მნიშვნელოვანი პირობაა, იმდენად, რამდენადაც ამ დროს ჯგუფებს შორის ძალაუფლება ნაწილდება ისე, რომ არ აძლევს რომელიმე ერთ ჯგუფს ან კლასს განსაკუთრებული გავლენის მოპოვების შესაძლებლობას.

ნამდვილი დემოკრატია მხოლოდ იქაა სადაც ძლიერ ჯგუფებს არ ძალუძთ უბრალოდ მოახვიონ თავიანთი შეხდულებები დანარჩენებს, ხოლო სუსტებს კი შესაძლებლობა აქვთ წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები.

დემოკრატიის დამახასიათებელი ნიშნების შემდეგი კლასიფიკაციაც არსებობს:

---

[30] **ეგალიტარიზმი** – (ფრანგ. égalitarisme < égalité, თანასწორობა) — გონებრივი მიმდინარეობა, რომელიც ქადაგებს ადამიანების თანასწორობას; თანასწორობა გულისხმობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობას. შესაძლებელია განვიხილთ, როგორც უტოპიური სოციალიზმის ნაირსახეობა.

[31] **პლურალიზმი** - განსხვავებული აზრების, მსოფლმხედველობების, ცხოვრების წესის და ინტერესების თანაარსებობა.

- ✓ ხელისუფლების ლეგიტიმურობა
- ✓ ხელისუფლების შეზღუდვა კანონით
- ✓ ხელისუფლების განაწილება
- ✓ ოპოზიციის ლეგიტიმურობა

ამრიგად, პოლიტიკური სისტემის და რეჟიმის ხასიათი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

- ✓ **საზოგადოების სოციალური წყობით**
- ✓ **მმართველობის ფორმებით** – საპრეზიდენტო, საპარლამენტო
- ✓ **სახელმწიფოს ტიპით** – მონარქია რესპუბლიკა
- ✓ **პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით** – დემოკრატიული, ტოტალიტარული, ავტორიტარული
- ✓ **სოციალურ პოლიტიკური ვითარებით** – სტაბილური, არასტაბილური
- ✓ **გარემოსთან ურთიერთობის ხასიათით** – ღია, დახურული

პოლიტიკური რეჟიმის ხასიათი განისაზღვრება იმით, თუ როგორი პროპორციითაა მასში მოცემული ძალაუფლების სამი მოდალობა: **ძალა, ავტორიტეტი და ხელმძღვანელობა**. ასევე განმსაზღვრელია ისიც, თუ როგორ და რა ხერხებით და მეთოდებით ახორციელებს იგი თავის ძალაუფლებას.

ამ კრიტერიუმთა გამოყენებით შეიძლება პოლიტიკურ რეჟიმთა და წყობათა შემდეგი სახეები გამოვყოთ:

1. **ავტოკრატია – ტოტალიტარიზმი**, რომელთათვისაც მადომინირებელია ძალის მეუფება
2. **იეროკრატია – ავტორიტარიზმი,** რომელიც ემყარება ავტორიტეტის ძალაუფლებას.
3. **დემოკრატია**, რომელიც ემყარება მოქალაქეთა ხელმძღვანელობის პრინციპს.

თავი IV საქართველოს მმართველობის ფორმის, ტერიტორიული მოწყობისა და პოლიტიკური რეჟიმის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს ფაქტორი გვაძლევს უდიდეს შესაძლებლობას თამამად ვისაუბროთ სახელმწიფო მართვის ფორმებზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიარა, რათა უკეთ დავინახოთ ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორები, რომელმაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის, როგორც სახელმწიფოს, წარმატება თუ მარცხი.

საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა საკუთარი სახელმწიფოებრივი ისტორიიდან აიღოს მაგალითები, სამწუხაროდ ისწავლოს თავის შეცდომებზე, სტრატეგიულად დაგეგმოს მისთვის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, პოლიტიკური მომავალი, რომელშიც წარსულის მაგალითების გამოყენება შესანიშნავი შანსია მომავლის უკეთ დასაგეგმად.

აღნიშნული შანსი ბევრ ქვეყანას არ გააჩნია, ამდენად ისინი იძულებულნი ხდებიან მიმართონ მსოფლიო პრაქტიკას, რაც ყოველთვის გამართლებული არ გახლავთ, რადგან თვითეული სახელმწიფო, რაც არ უნდა „ახალი“ იყოს, თავისი ინვიდუალიზმით გამოირჩევა და კონკრეტული პრაქტიკული მიდგომები ნაკლებად გამოადგება.

საქართველოს სახელმწიფო ახალი დემოკრატიის ფაზაშია. 27 წელი არც თუ ისე დიდი დროა ხელისუფლებისა და სახელმწიფო სისტემების სრულყოფილებისათვის. საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყანაა და საბჭოთა მმართველობითი მიდგომისა თუ ტენდენციების სიმრავლე ჯერ კიდევ შეიმჩნევა სხვადასხვა სისტემებში. ამდენად ჩვენმა ახალმა დემოკრატიამ უნდა გაუძლოს ასევე თანამედროვე გამოწვევებს, საერთაშორისოდ

მიღებულ სტანდარტებს, რათა მსოფლიო განვითარების საერთო ფერხულში აქტიურად იყოს ჩაბმული.

ამავე დროს მნიშვნელოვანია საქართველომ შეინარჩუნოს თავისი ტრადიციები, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მსოფლიოს წინაშე ქმნის ერთგვარ ნიშას – განსაკუთრებულ სახეს. ამგვარი ნიშები საქართველოს საბედნიეროდ მრავალი აქვს: ენა და დამწერლობა, რომელიც შედის 10 დამოუკიდებელ დამწერლობას შორის, ისტორიული ძეგლები, მატერიალური თუ არამატერიალური კულტური ძეგლები, რომლებიც შესულია იუნესკოს ძეგლთა დაცვის ფონდში და აღიარებულია განსაკუთრებული ღირებულებებით, მაგალითად ქართული მრავალხმიანი სიმღერა, ქართული ჭიდაობა, ქართული ღვინის ქვევრში დაყენების ტექნოლოგია და ა.შ.

ამრიგად, საქართველო საინტერსოა მსოფლიო ცივილიზაციისათვის იმდენად რამდენადაც სხვა სახელმწიფოს მსგავსი რესურსი არა აქვს და ამ რესურსების შენარჩუნებისა და მაქსიმალურად გამოყენების ჭრილში უნდა მოხდეს ქართული დემოკრატიის განვითარება.

რაც შეეხება სახელმწიფოს მართვის სისტემებს საქართველომ ეტაპობრივად ყველა სისტემა (ზოგიერთის შეფერხებით) გაიარა – მონაქია, საპარლამენტო რესპუბლიკა, ნახევრად საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკები და საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

საქართველოს ხელისუფლებას, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს მმართველობით რგოლს, რეალური კონსტიტუციურ - სამართლებრივი სისტემების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში, დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი დღიდანვე მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო არჩევანის გაკეთება მოუხდა. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებული იყო იმ საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენასთან, რომელშიც მოთავსდებოდა დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. აქ იგულისხმება მიზნის მიღწევის ისეთი ხერხებისა და საშუალების ლეგიტიმაცია, რაც შეესაბამებოდა მსოფლიოს დემოკრატიული პოლიტიკური განვითარების დღევანდელ

თანამედროვე ტენდენციას, ტენდენციას - ახალი, მეტი დემოკრატიისაკენ, რასაც სათავე დაუდო სოციალისტური სისტემის დაშლამ.

მეორე მხრივ, ამ ჩარჩოების გაფართოების პარალელურად, ხელისუფლების დღევანდელი მდგომარეობის დონეზე არაკეთილსინდისიერად სარგებლობდნენ სხვადასხვა სეპარატისტული ძალები, რაც წარმოშობდა სერიოზულ კონფლიქტებს როგორც პრაქტიკული, ისე დემოკრატიის თეორიულ მიდგომებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფასეულობებს შორის.

მაშასადამე, სიძნელეთა მიუხედავად, აუცილებელი იყო თვითეულ მმართველობით რგოლამდე იმ მთავარი იდეის განხორციელება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში – სახელმწიფოში პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბების უპირობო საფუძველს უნდა წარმოადგენდეს დემოკრატია.

თანამედროვე საქართველოში მიუხედავად მმართველობითი სისტემების სრულყოფილების მცდელობებისა არაერთხელ დამდგარა ქვეყანა მთავარი დილემის წინაშე, რომელიც მდგომარეობს დემოკრატიის უმარტივეს გაგებაში - **დემოკრატია, როგორც უბრალოდ ხალხის მმართველობა.** სწორედ აღნიშნული გარემოების მთავარი მიზეზების კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება გახლავთ სამაგისტრო ნაშრომის მთავარი მიზანი და ამოცანა.

ტერმინი „მმართველობის ფორმა“ ზოგადი განმარტებით მიუთითებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მოწყობაზე და ასევე მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე, როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ჭრილში.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მოქმედების პირობებში მმართველობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა.

- ✓ 1995-2004 წლებში – საპრეზიდენტო
- ✓ 2004-2013 წლებში – ნახევრადსაპრეზიდენტო;
- ✓ 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებში არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებიდან 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე – ნახევრადსაპარლამენტო;

✓ ხოლო მისი ამოქმედების შემდეგ საქართველოს მმართველობის ფორმად განისაზღვრა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცერემონიალური სტატუსის მქონე, წარმომადგენლობითი, შეზღუდული უფლებამოსილებებით აღჭურვილი სახელმწიფოს მეთაური.[15]

საქართველოს კონსტიტუციის მე–3 მუხლის 1 ნაწილის თანახმად **„საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა.**"

რაც გულისმობს ისეთი მმართველობის პირობებს, სადაც უზრუნველყოფილია პარლამენტის ინსტიტუციური უზენაესობა, მისი როლი სხვა ორგანოებთან მიმართებაში და განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსი. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით მყარი საფუძველი ჩაეყარა პროცედურულ დემოკრატიას, რამაც იდეაში სახელმწიფო ხელისუფლების მითვისების რისკები მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ორგანიზება, სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობა.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, განასხვავებენ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ორ ძირითად ფორმას: **უნიტარულსა და ფედერაციულს.** განსხვავება აღნიშნულ ორ ფორმას შორის, როგორც ვთქვით, არის ის, რომ უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციული ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებისაგან მხოლოდ სუსტი სახელისუფლებო უფლებამოსილებებით, ხოლო ფედერაციული სახელმწიფოს ერთეულები წარმოადგენენ სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს, უფრო ძლიერი მმართველობითი ხასიათით, მაგრამ სუვერენიტეტის გარეშე. რაც ორივე ტიპის ტერიტორიულ მოწყობაში გვხვდება არის ის, რომ ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფა ორივე სახელმწიფოში არსებობს და ეს დაყოფა უნდა უქმნიდეს ქვეყანას დაშლისა თუ დეცენტრალიზაციის საფრთხეს.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის სახე განისაზღვრება იმით თუ როგორ არის გადანაწილებული უფლებამოსილებები ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს შორის.

4.1. მმართველობითი სისტემების მოდერნიზება საკანონმდებლო დონეზე

თანამედროვე საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მმართველობითი სისტემების სრულყოფილება, რაზეც მოწმობს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც „ქართული ოცნება“ უკვე საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობდა. შეიქმნა ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც 10-თვიანი მუშაობის შემდეგ კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი წარმოადგინა. 2017 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე 117 ხმით 2-ის წინააღმდეგ საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო. 2017 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ახალი რედაქციით მიღებულ კონსტიტუციას ხელი მოაწერა. კონსტიტუციის ახალი რედაქციით ფუნდამენტურად შეიცვალა ქვეყნის მართვის მოდელი, შესაბამისად სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა ბალანსი, ასევე არჩევნების სისტემა. [7]

შინაარსის გარდა, ცვლილებებია კონსტიტუციის შინაარსობრივ ფორმაშიც. მაგალითად, ძველი კონსტიტუცია შედგებოდა 109 მუხლისაგან, ხოლო ახალში კი 78 მუხლია, ძველში თუ მხოლოდ თავები იყო დასათაურებული, ახალში თითოეულ მუხლს თავისი სათაური აქვს. ახალი კონსტიტუციით, ძირითადი ცვლილებები ეხება პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევის წესებს. კერძოდ, 2024 წლიდან პრეზიდენტს აირჩევენ არა პირდაპირი არჩევნებით, არამედ საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით. ასევე 2024 წლიდან უქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემაც და პარლამენტი მხოლოდ 150 წევრით დაკომპლექტდება რომელიც პროპორციული სისტემით იქნება არჩეული.

საქართველოს კონსტიტუციის მე–7 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებს, რომლის თანახმადაც საქართველოს ტერიტორია შედგება 2 ავტონომიური რესპუბლიკისა და 1 ავტონომიური ოლქისაგან, მაგრამ ასევე მითითეულია, რომ საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

საქართველოს კონსტიტუცია აჭარასა და აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს ანიჭებს. კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია დროებით საქართველოს ოფიციალურ იურიდქციაში არ შედის და მოქმედებს მსოფლიო თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არაღიარებული ე.წ. სეპარატისტული[32] რეჟიმი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონი არ არის მიღებული. მისი მიღება დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან.

კონსტიტუციის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია ექსკლუზიური (განსაკუთრებული) და დელეგირებული უფლებამოსილებები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ ხარისხებს დამოუკიდებლად წყვეტენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები.

ნიშანდობლივია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეუძლია ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის, ტურიზმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, გარემოს დაცვის სფეროში განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით ნებისმიერი

[32] **სეპარატიზმი** - წარმოადგენს პოლიტიკურ მოძრაობას სახელმწიფოს შიგნით, რომელიც მიმართულია სახელმწიფოსაგან რომელიმე ტერიტორიული ნაწილის გამოყოფისაკენ. სეპარატიზმი შეიძლება ესწრაფვოდეს არა მარტო გამოყოფას, არამედ სხვა სახელმწიფოსთან შეერთებასაც.

უფლებამოსილება, რომელიც არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს საკუთარი **დროშა** და **გერბი** ასევე გააჩნია საკუთარი **კონსტიტუცია**, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის ძალა აქვს.

რაც შეეხება საქართველოს პოლიტურ რეჟიმს საქართველოს კონსტიტუციის მე–3 მუხლის 1 ნაწილში ჩამოყალიბებულია „საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკაა, ხოლო იქვე მე-2 პუნქტში დადასტურებულია, რომ **„საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“** ამრიგად საქართველოს პოლიტიკურ რეჟიმს უპირობოდ შეიძლება ვუწოდოთ დემოკრატიული.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით გამიჯნულიან შემდეგი ძირითადი საკითხები:

- **პრეზიდენტი**

✓ პრეზიდენტი კვლავ რჩება სახელმწიფოს მეთაურად, წარმომადგენლად საგარეო ურთიერთობებში, მთავარსარდლად და თუმცა მას აღარ ევალება, რომ „კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირება“;

✓ პრეზიდენტმა დაკარგა უფლება, რომ „მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვა მოითხოვოს და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში“;

✓ 2024 წლიდან პრეზიდენტი აირჩევა არა პირდაპირი არჩევნების გზით, არამედ მას საარჩევნო კოლეგია აირჩევს 300 ხმოსნის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან

დეპუტატები, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენლები;

✓ პრეზიდენტი წინასწარი დებატების გარეშე აირჩევა პარლამენტის სასახლეში ხუთი წლის ვადით (ექვსი წლის ვადით 2018–2024 წლებში). ერთსა და იმავე პირს პრეზიდენტის მოვალეობების შესრულება შუძლია ორი ვადით;

✓ საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან (ნაცვლად მანამდე არსებული 35 წლისა),

რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც. თუმცა კანდიდატს აღარ მოეთხოვება არჩევნებამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოოში ცხოვრება.

- **პარლამენტი**

2020 წლის არჩევნები

✓ საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით გაიმართება, სადაც ამომრჩევლები 73 დეპუტატს მაჟორიტარული სისტემით, ხოლო დარჩენილ 77 დეპუტატს პროპორციული სისტემით აირჩევენ;

✓ საარჩევნო ბარიერი არსებული 5%-იდან 3%-ამდე შემცირდება და პარტიები საარჩევნო ბლოკების შექმნას შეძლებენ (რაც მომდევნო საკონსტიტუციო ცვლილებებით იქნება მიღებული). **2024 წლიდან**

✓ პარლამენტი გახდება მთლიანად პროპორციული სისტემის;

✓ საარჩევნო ბლოკების შექმნა აღარ იქნება შესაძლებელი და 5%-იანი ბარიერი ძალაში დარჩება;

✓ იმ დეპუტატებს, რომლებიც დასახელებული იქნებიან ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ, მხოლოდ ერთი საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბება შეეძლებათ;

✓ კანდიდატის ასაკი იზრდება 21წლიდან 25 წლამდე;

- **პრემიერ-მინისტრი/მთავრობა**

✓ პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს, ასევე განსაზღვრავს მთავრობის სხვადასხვა საქმიანობებს;

✓ პრემიერ-მინისტრი პარლამეტის წინაშეა ანგარიშვალდებული, იგი წელიწადში ერთხელ მთავრობის საქმიანობისთვის პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ახალი კონსტიტუციის განხილვაზე აზრთა სხვადასხვაობა და მწვავე კამათები წარიმართა, მიუხედავად, ამისა აღსანისნავია, რომ მასში სახელისუფლო შტოებს შორის

ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია. ზოგადად, საპარლამენტო მოდელის ქვეყნებში ძლიერი აღმასრულებელი ორგანო მთავრობაა, ძლიერი ფიგურა კი პრემიერ-მინისტრი. გაძლიერებულია პარლამენტიც. პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა უფრო დახვეწილია და ვადები შემჭიდროებული. ასევე შეცვლილია პარლამენტის მიერ ბიუჯეტის მიღების წესი. კერძოდ, თუ ადრე პარლამენტს ბიუჯეტის არმიღების შემთხვევაში დათხოვნის პერსპექტივა ემუქრებოდა, ამიერიდან, თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 3 თვეში არ მიიღებს, ხარჯები წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით დაიხარჯება. პრეზიდენტი ამ ორ შტოს შორის არბიტრისა[33] და დამბალანსებლის ფუნქციას შეასრულებს.

ჰიმნის, დროშისა და გერბის შეცვლის საკითხი ახალმა კონსტიტუციურმა ცვლილებამ უფრო გაართულა, კერძოდ სახელმწიფო ენას დაიცავს ორგანული კანონი, ჰიმნის, დროშისა და გერბის გადასინჯვას მხოლოდ საკონსტიტუციო უმრავლესობა შეძლებს. პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას მიიღებენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, ასევე საქართველო გახდა სოციალური სახელმწიფო. საქართველო აღიარებს, უზრუნველყოფს და იზრუნებს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ღია ეკონომიკის განვითარებაზე და ასევე იზრუნებს ემიგრანტებთან კავშირის შენარჩუნებაზე.

აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებები მომდევნო პერიოდში განაპირობებს მმართველობითი სისტემების მოდერნიზებას და გაახლებას, რომელიც მორგებული იქნება თანამედროვე ახალ კონსტიტუციაზე. რაც შეეხება სისტემების სრულყოფილების მაგალითებს და შესაძლო ვარიანტებს ჩემს მიერ მომდევნო თავში ჩამოყალიბებულია როგორც თეორიული ასევე რაოდენობრივი კვლევის (გამოკითხვის) შედეგების შეჯამების საფუძველზე.

[33] **არბიტრი** -მედიატორი, შუამავალი, მომრიგებელი

თავი V მართვის სისტემების სრულყოფილების მაგალითები

სახელმწიფო მართვა თავისი შინაარსით მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. მართვა კომპლექსურადაა დამოკიდებული რამოდენიმე ფაქტორზე; სახელმწიფო წყობა, პოლიტიკური რეჟიმი, მმართველობითი სისტემები, ინსტიტუტები, პოლიტიკური

ლიდერების საქმიანობა, ასევე ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სტრატეგიები. თუ ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელიმე სუსტადაა განვითარებული საერთო ჯამში სახელმწიფო მმართველობის სისტემების სრულყოფილება მიუღწეველ ფენომენად იქცევა.

აღნიშნული ფაქტორები სახელმწიფო მართვაში საათის მექანიზმის მსგავსად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთის არარსებობა, ან სუსტად არსებობა უკვე ძალიან დიდ პრობლემას ქმნის.

საკითხის ისტორიის მიმოხილვაში ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს საკმაოდ მრავალფეროვანი და განსაკუთრებული სახელმწიფო მართვის ისტორია აქვს. მრავალსაუკუნოვანი ერის ისტორია საფუძველია ახალი ისტორიის უკეთ შესაქმნელად, მაგრამ საქართველოს როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანას საკმაოდ გაუჭირდა ახალ მმართველობით სისტემაზე გადასვლა. დღეს აღნიშნული გადასვლის პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა, ამდენად აღნიშნული საკითხი სამაგისტრო თემას სძენს მეტ აქტუალობას.

საქართველო, როგორც ახალი დემოკრატიის ქვეყანას ესაჭიროება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მაგრამ კულტურული–ეროვნული ღირებულებების დაცვით, რაც შესაძლებელია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებად და ეს არის ჩვენი ქვეყნის ინდივიდუალიზმი, რითაც უფრო მეტად საინტერესო ვართ საერთაშორისო არენაზე.

აქედან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სრულყოფილებას უპირველეს ყოვლისა ვხედავ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით განვითარებას, რითაც შესაძლებელი გახდება მსოფლიო არენაზე კიდევ უფრო საინტერესო და თვითმყოფადი ერი გავხდეთ.

შემდეგი ფაქტორი სრულყოფილებისაკენ სწრაფვაში ჩემი აზრით არის სისტემების მაქსიმალური მოდერნიზება, რაც გამოიხატება **საზოგადოებასა და მმართველობით**

რგოლებს შორის კიდევ უფრო ახლო და აქტიურ ურთიერთობაში. დემოკრატია ხალხის მმართველობაა, რაც საუკეთესო საშუალებაა თითოეული მოქალაქე პირდაპირ თუ ირიბად იყოს ჩართული სახელმწიფო მართვაში. სისტემების სრულყოფილება ამ კუთხით ნიშნავს სახელმწიფო სერვისებით მომსახურების სფეროს კიდევ უფრო დახვეწას. საამისოდ საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში საკმაო რეფორმები გატარდა – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოდერნიზება, შემოსვლების სამსახურის მოდერნიზება, აქ საუკეთესო ელექტრონული მომსახურების ბაზები შეიქმნა, რითაც გადასახადის გადამხდელს ყველა სერვისით სახლიდან გაუსვლელად სარგებლობა შეუძლია.

ადგილობრივი თვითმმართველობაც გადის თანამედროვე სტანდარტებთან ადაპტაციის პერიოდს. ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოში უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო მართვაში, რომელიც რამოდენიმე კუთხით შეიძლება გატარდეს. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობა ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია ცენტრალურ და პერიფერიულ ტერიტორიებს შორის, საზოგადოების თითოეული წევრი აქტიურად უნდა ამყარებდეს კონტაქტს მმართველობის ამ რგოლთან, რათა ცენტრალური ხელისუფლებისათვის ყველა კონკრეტული რეგიონული საკითხი იყოს ცნობილი და გააკეთოს ყველაფერი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საერთო სიკეთისა და დოვლათის მოსაპოვებლად.

ზოგადად სისტემა მაშინ არის მოქნილი და სახალხო როცა მასში შემავალი რგოლი თითოეული მაქსიმალურად სრულყოფილია, ამიტომ საქართველოში ხელისუფლების მეორე შტო – აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც ყველაზე დიდი სისტემური რგოლი მაქსიმალურად დახვეწილი და მოდერნიზებული უნდა იყოს. მთავრობა პასუხობს ქვეყნის თანამედროვე განვითარების ტენდენციებს. არიან ქვეყნები რომელთაც სახელმწიფოებრივად დამოუკიდებლობის დიდი ისტორია აქვთ, ამდენად მათი მმართველობითი სისტემები უფრო სრულყოფილი და დახვეწილია, **ჩვენს შემთხვევაშიც მთავრობა პასუხობს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციას და სრულყოფილდება.**

მაგალითად, 2018 წელს ნოემბერში იუსტიციის სახლმა, პროექტის „გაუმჯობესებული სერვისები ყველასთვის“ შუალედური ანგარიში წარუდგინა მედიასა და საზოგადოებას.

პროექტის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სახელმწიფო სერვისების კიდევ უფრო ეფექტიანად მიწოდება.

პროექტი სახელწოდებით - „გაუმჯობესებული სერვისები ყველასათვის“ განხორციელება იუსტიციის სახლმა 2018 წლის ივნისიდან დაიწყო გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. პროექტის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების საკითხში იუსტიციის სახლის თანამშრომელთა კომპეტენციის ამაღლება. ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევის საფუძველსა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე იუსტიციის სახლმა შეიმუშავა სახელმძღვანელო და სტანდარტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების შესახებ.

ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით შემუშავებული სპეციალური ტრენინგ-მოდულით, გადამზადდა იუსტიციის სახლის წინა ხაზის 300-მდე თანამშრომელი. ხოლო, 2018 წლის ბოლომდე, გადამზადებას გაიარა იუსტიციის სახლის წინა ხაზის უკლებლივ ყველა თანამშრომელი საქართველოს მასშტაბით, ჯამში 750 თანამშრომელი.

იუსტიციის სახლის თანამშრომელთა მაღალი ცნობიერება და აუცილებელი ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების საჭიროებებზე მორგებული სერვისის მიწოდებისათვის, იუსტიციის სახლის მომსახურების პროცესს უფრო ხელმისაწვდომს და ადაპტირებულს ხდის.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების სტანდარტი დაინერგება იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში, ხოლო ის ტრენინგ-მოდული, რომელიც უკვე შემუშავებულია გახდება იუსტიციის სახლის ახალი თანამშრომლების გადამზადების სისტემის ნაწილი, რაც პროექტის შედეგების მდგრადობას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ ამავე პროექტის ფარგლებში - „გაუმჯობესებული სერვისები ყველასათვის“ იუსტიციის სახლის 20 თანამშრომელი ინტენსიურად ეუფლება ჟესტურ ენას.

უფრო მეტიც, მათ უკვე შეუძლიათ ჟესტური ენის გამოყენებით მომსახურების გაწევა, რაც უდიდესი სტიმულია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისთვის.

სახელმწიფო სერვისების თანაბრად ხელმისაწვდომობა ყველა მომხმარებლისათვის, იუსტიციის სახლისათვის უმნიშვნელოვანესია, იგი ამისთვის მომავალშიც არაერთი ქმედების განხორციელებას გეგმავს. სწორედ აღნიშნული ფაქტი გახლავთ სისტემის სრულყოფილების შესანიშნავი მოდელი.[13]

იუსტიციის სახლს თავის ოფიციალურ ვებ–გვერდზე http://psh.gov.ge აქვს განსაკუთრებული ტიპის მომსახურება, კერძოდ უსინათლოთათვის ყველა სტატიისა თუ მომსახურების ღილაკზე ხელის დაჭერის შემდგომ ხდება მისი გახმოვანება, რათა უსინათლოებმაც შეძლონ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღება. ადაპტირებული მომსახურების სფეროში ეს უდაოდ მოდერნიზებული მეთოდია.

კიდევ ერთი საინტერესო პროექტი რაც განახორციელა იუსტიციის სახლმა არის ჯასთ დრაივი. თბილისის იუსტიციის სახლში, მომხმარებელს აქვს უნიკალური შესაძლებლობა სახელმწიფო სერვისების ჯასთ დარივის მეშვეობით მიიღოს. ჯასთ დრაივის საშუალებით მომხმარებელი დაბადების მოწმობის,პასპორტისა და სხვა დოკუმენტების გატანა შენობაში შეუსვლელად, უფრო მეტიც, ავტომობილიდან გადაუსვლელად, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჯასთ დრაივის ფანჯარასთან შეუძლია. ჯასთ დრაივის სერვისით სარგებლობისთვის მომხმარებელს თან უნდა ქონდეს აქტიური პირადობის ელექტრონული მოწმობა. ჯასთ დრაივის სერვისით შესაძლებელია ქონებისა და ბიზნესის ამონაწერის, პასპორტის, მოწმობების, ქორწინების ცნობის, მიგრაციის საინფორმაციო ბარათის, პირველადი ადესტატის მიღება.

იუსტიციის სახლის ვებ–გვერდის მსგავსად შემოსავლების სამსახურის ვებ–გვერდიც ადაპტირებულია შშმ პირთათვის, როგორც შეზღუდული მხედველობის, ასევე სმენის პრობლემების მქონე პირთათვის. (www.rs.ge)

შემოსავლების სამსახური, როგორც სისტემის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი 2012 წლიდან თანამედროვე სტანდარტებთან მაქსიმალურ შესაბამისობაშია. როგორც მომსახურების სფეროს ასევე სხვადასხვა სერვისების გაუმჯობესების თვალსაზრისით. დღეს

შემოსავლების სამსახურში უმეტესი მომსახურება ელექტრონული ფორმისაა, რამაც ბევრად უფრო გაამარტივა ბიზნეს სექტორის საქმიანობა და ამავე დროს კიდევ უფრო ქმედითი გახდა კონტროლის თვალსაზრისით. დეკლარირება, როგორც საგადასახადო ასევე საბაჟო კუთხით არის ელექტრონული. სახლიდან გაუსვლელად საგადასახადო დეკლარირების შესაძლებლობამ განტვირთა დაძაბულობა სისტემის შიგნით ლოკაციის ადგილებზე – სერვის ცენტრებში და გადამხდელს მისცა საშუალება დადგენილ ვადაში მისთვის სასურველ დროს შეავსოს დეკლარაცია. გარდა დეკლარაციისა ელექტრონული ფორმისაა სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ–ფაქტურა და ა.შ.

ამრიგად, ორი მსხვილი სისტემის მაგალითზე ჩვენ დავინახეთ თუ რამდენად მართებული და სასარგებლოა მართვის სისტემების სრულყოფილება სახელმწიფოს სწორი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის. თუ სამთავრობო რგოლებთან მუშაობა ასე ეფექტურად წარიმართება სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ინფორმირებულობა იქნება საზოგადოებაში, რაც სამოქალაქო აქტივიზმს გაზრდის და ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

ყოველივე ეს, რაზეც ჩვენ სამაგისტრო თემაში გვაქვს საუბარი აზრს მოკლებული იქნებოდა, რომ არა მმართველობის საჯარო ხასიათი. საჯარო მმართველობა თავისთავში გულისხმობს სწორედ მართვის ღიაობას, ხელისუფლების ანგარიშ–ვალდებულებას საზოგადოების წინაშე, ასევე საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვას მართვაში. ეს ორმხრივი პროცესია, ერთი მეორის გარეშე კარგავს არსს, ორივე კი დემოკრატიის მთავარი არსია. ამდენად ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს საზოგადოების ინფორმირებულობაზე ყველა შესაძლო ფორმით, მის მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე სერვისების მიწოდებით. აღნიშნული მიდგომები განხორციელდება მხოლოდ მაშინ თუ სრულყოფილდება მმართველობითი სისტემები.

დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომში „**სახელმწიფო მართვის სისტემების სრულყოფილება დემოკრატიულ საზოგადოებაში**“ **კომპლექსურად იქნა განხილული რამოდენიმე საკითხი:** სახელმწიფოს მართვის თეორია, პოლიტიკური სისტემები და მისი შემადგენელი ნაწილები, დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელობა და მოთხოვნები სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით და საბოლოო ჯამში ჩამოყალიბებული იქნა მართვის სისტემების სრულყოფილების როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული მაგალითები.

თანამედროვე სახელმწიფოები რთულ სისტემას წარმოადგენს, რომელსაც წინ სხვადასხვა მმართველობითი სისტემები უსწრებდა. მანამ, სანამ თანამედროვე სახელმწიფო მართვის დემოკრატიული სისტემა ჩამოყალიბდებოდა ადგილი ჰქონდა მონარქიული მართვის სისტემებს, რომლებიც რამოდენიმე ათეული საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

სახელმწიფო საჯაროდ აღიარებული ინსტიტუტია, რომლის მთავარ მიზანს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის სამსახური წარმოადგენს. ეს კი კაცობრიობის კეთილდღეობის მისაღწევად აუცილებელი საშუალებაა.

ჩემი სამაგისტრო **ნაშრომის მიზანს** წარმოადგენდა პირველ რიგში სახელწიფო მართვის ყველა სისტემის განხილვა და გაანალიზება, ხოლო შემდგომ მათი სრულყოფის ყველა აქამდე ნაცადი ხერხების მიმოხილვა. ამდენად ნაშრომში სახელმწიფო მართვის სისტემურმა განხილვამ გამოკვეთა სახელმწიფოს ტერიტორიის მოწყობის საკითხებში არსებული პრობლემები და მათი წარმოშობის გზები, რათა შემდგომში სამომავლოდ აღნიშნული პრობლემებისაგან მაქსიმალურად იქნეს დაცული ცვენი ქვეყანა, რომელიც დრეს ისედაც რთულ და გაურკვეველ ტერიტორიულ საზღვრებს ფლობს.

პოლიტიკური რეჟიმები, როგორც სისტემის უმნიშვნელოვანესი სეგმენტი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო მართვაში. აღნიშნული რეჟიმების

სრულყოფილი მიმოხოლვით დავრწმუნდით, რომ ქვეყნის პერსპექტიული განვითარება ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების ჭრილში უდიდესი დიპლომატიაა და მისი განხორციელება აუცილებელია, რათა შენარჩუნებული იქნეს ის მთავარი და მნშვენლოვანი ნიშა ქვეყნისათვის - წარსულისა და მომავლის სწორად გაანალიზება და თანხვედრა აწმყოში.

ნაშრომი მეტად აქტუალურია, რადგან საქართველო სახელმწიფოებრიობის განვიათარების თანამედროვე მოდელად ფორმირების პროცესშია. მითუფრო, რომ სახელმწიფო ზოგადად დინამიურად განვითარებადი მოვლენაა და მისი მართვის სისტემები მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიან. ამდენად ჩვენთვის საინტერესო იყო რა ეტაპზეა დღეს მსოფლიოს ძლიერი და სუსტი სახელმწიფოები ამ თვალსაზრისით და სად არის საქართველო, ანუ განვითარების რომელ ეტაპზეა, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა.

სახელმწიფო მართვის სისტემების განხილვისას საკმაოდ მრავალფეროვან სახეებს ვაწყდებით - მონარქია, რესპუბლიკა და მისი შერეული ფორმები. რაც გამომდინარეობს მისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიიდან. ეს კი იმას ნიშნავს რომ ჩვენ ახალ ფენომენთან არა გვაქვს შეხება, ამდენად შედარებითი ანალიზისათვის საკმაოდ მოცულობითი მასალა გვქონდა, რამაც თავისთავად საინტერესო გახადა დასკვნის გამოტანა - მნიშვნელოვანია ერის სულიერი მამის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II რჩევა კონსტიუტუციურ მონარქიათან დაკავშირებით, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ექსპერტთა და პოლიტოლოგთა ყურადღებას, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული უწმინდესის რჩევა

სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერული სიახლე არის უკვე არსებული მართვის სისტემების შეფასების საფუძველზე თანამდროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის საჭირო მართვის სრულყოფილი სისტემის მოდელირების მცდელობა. აღნიშნული მოდელირება მისაღები იქნება ზოგადად ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის.

სახელმწიფოს მართვის სისტემის გამართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების ჩართულობა, ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე. კეთილდღეობა ფართო გაგების ცნებაა რაც თავის თავში გულისხმობს მშვიდობას, უსაფრთხოებას, სოციალურ

დაცვას და საზოგადოების ყველა იმ სეგმენტის სრულყოფას, რომელიც სახელმწიფოს პრეროგატივაში შედის.

თანამედროვე სახელმწიფო უნდა პასუხობდეს საერთაშორისო მოთხოვნებს ეროვნულ ღირებულებებთან შესაბამისობაში. ჩვენ უნდა მოვახდინოთ მართვის სისტემის სტრუქტურული მოდერნიზება, რაც მოიცავს ისეთი სამომხმარებლო სერვისების შექმნას საჯარო დაწესებულებებში, რომლებიც გაუადვილებს მოსახლეობას მიიღოს სხვადასხვა ტიპის მომსახურება და შექმნის სრული კომუნიკაციის შესაძლებლობას.

სისტემის მოდერნიზების ნათლად წარმოჩენისათვის სამაგისტრო ნაშრომში ორი მსხვილი სისტემის მაგალითზე ნათელი გახდა თუ რამდენად მართებული და სასარგებლოა მართვის სისტემების სრულყოფილება სახელმწიფოს სწორი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის. თუ სამთავრობო რგოლებთან მუშაობა ასე ეფექტურად წარიმართება სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ინფორმირებულობა იქნება საზოგადოებაში, რაც სამოქალაქო აქტივიზმს გაზრდის და ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

მართვის სისტემების მოდერნიზება შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოში , რომელსაც მმართველობის საჯარო ხასიათი აქვს. საჯარო მმართველობა თავისთავში გულისხმობს სწორედ მართვის ღიაობას, ხელისუფლების ანგარიშ–ვალდებულებას საზოგადოების წინაშე, ასევე საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვას მართვაში. ეს ორმხრივი პროცესია, ერთი მეორის გარეშე კარგავს არსს, ორივე კი დემოკრატიის მთავარი არსია.

ამრიგად საქართველო სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით მრავალი თანამედროვე გამოწვევების წინაშე დგას. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს საზოგადოების მაქსიმალურ ჩართვაზე სახელმწიფო მართვაში, მის ინფორმირებულობაზე ყველა შესაძლო ფორმით, მის მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე სახელმწიფო სერვისების მიწოდებით. აღნიშნული მიდგომები განხორციელდება მხოლოდ მაშინ თუ სრულყოფილდება მმართველობითი სისტემები.

ბიბლიოგრაფია

1. ბუროუსი გ. აბაშიძე ზ . მუხიგული ქ. დუნდუა ს. ქარაია თ. "დემოკრატია და მოქალაქეობა" საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES)
2. გორგოშაძე მ. „სახელმწიფოს ფორმები" გამომცემლობა "ბათუმის უნივერსიტეტი" მ. გორგოშაძე, 2006.
3. დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. "კონსტიტუციური სამართალი". საგამომცემლო სახლი „ინოვაცია" თბ. 2010 წ.
4. იზორია ლ. საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ნახევრადსაპრეზიდენტო? გზა დემკრატიული კონსლიდაციისკენ. გამომცემლობა „მერიდიანი" თბ.2010 წ.
5. კვერენჩხილაძე გ. „კონტრასიგნაციის ინსტიტუტი: ევროპული გამოცდილება და ქართული პერსპექტივები" ელ.მის: https://mimomxilveli.files.wordpress.com/2012/10/kontrasignacia-kverenchxiladze.pdf
6. კვერენჩხილაძე გ. მელქაძე ო. „საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა" გამომცემლობა „უფლება" თბ.1997 წ.
7. მაცაბერიძე მ. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა" თბ. 2019 წ. © ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
8. რუხაძე, ზ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999
9. საქართველოს კონსტიტუცია, www.matsne.ge
10. საქართველოს კონსტიტუცია : გამოცემა მოზარდებისათვის [ქართ. და რუს. ენ / სარედ. ჯგუფი: ლალი გზირიშვილი, თამარ დემეტრაშვილი, მერაბ ბასილაია და სხვ.] - თბ. : ფონდი Alpe, 2005
11. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები (შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი) ნაწ.1 თბ.2004 წ.
12. სტატია „თავისუფლების დიდი ქარტია (რა შანსი გავუშვით ხელიდან ქართველებმა) ელ.მის: http://www.georoyal.ge/?id=1336 ნანახია 15,06,2019
13. სტატია „იუსტიციის სახლი პროექტის „გაუმჯობესებული სერვისები ყველასთვის" შუალედური ანგარიშით წარდგა" http://psh.gov.ge/main/news/0/2/73
14. სტატია „პატრიარქი საქართველოში საკონსტიტუციო მანრქიის შემორების მომხრეა" ელ.მისამართი: https://sptnkne.ws/mCZW 19.07.2017
15. ფირცხალაშვილი ა. მირიანაშვილი გ. "საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საფუძვლები" გამომცემლობა "მწიგნობარი" თბილისი, 2018 წ.
16. შაიო ა. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა" გვ. 102-103).
17. შარლ ლუი დე მონტესკიე „კანონთა გონი"
18. ჯონ ლოკი „მმართველობის მეორე ტრაქტატი;
19. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, მონარქია http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3975
20. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, რესპუბლიკა http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3137

21. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონო საპრეზიდენტო რესპუბლიკა
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4290
22. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი, სახელმწიფო
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3975